სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი
სისხლის სამართალი

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის

სამეცნიერო ხელმძღვანელი:
სამართლის მეცნიერებათა დოქტორი
პროფესორი ნონა თოდუა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია სისხლის
სამართლის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად

ლაშა ცუცქირიძე
ტელ.: 579 90 42 47
ელ-ფოსტა: fgs.cucqiridze.lasha@outlook.com

თბილისი
2019 წ.

სარჩევი

შესავალი ----------3გვ.

I თავი - პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის - ისტორიული ანალიზი.------4გვ.

1.1. პასუხისმგებლობა აბორტისთვის ქართულ სამართლის ისტორიული ძეგლების მიხედვით.----------4გვ.

1.2. პასუხისმგებლობა აბორტისათვის უცხო ქვეყნების ძველი სამართლის მიხედვით.----------7გვ.

II თავი - აბორტის ცნება, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი.----------9გვ.

2.1. აბორტის ცნება.----------9გვ.

2.2. ფეტუსის სიცოცხლე, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი. ----------12გვ.

2.1.1. ფეტუსის ცნება.----------12გვ.

2.2.2. ფეტუსის სტატუსი აბორტის დროს.----------15გვ.

III თავი - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის.-18გვ.

3.1. უკანონო აბორტისათვის პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.----------18გვ.

3.2. პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედით.----------20გვ.

3.3. უკანონო აბორტის დამამძიმებელი გარემოებები.----------26გვ.

3.4. პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.----------29გვ.

3.5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.----------34გვ.

3.6. აბორტთან დაკავშირებული სტატისტიკა.----------38გვ.

IV თავი - საკითხის რელიგიური მხარე.----------42გვ.

4.1. მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებები აბორტზე.----------42გვ.

4.2. სხვადასხვა რელიგიათა შეხედულებები აბორტზე.----------45გვ.

დასკვნა----------48გვ.

ბიბლიოგრაფია----------50გვ.

გამოყენებული აბრევიატურა:

სსკ - სისხლის სამართლის კოდექსი

თბ. - თბილისი

წ. - წელი

გამომც. - გამომცემლობა

ე.წ. - ეგრეთ წოდებული

ე.ი. - ესე იგი

ა.შ. - ასე შემდეგ

მაგ. - მაგალითად

იხ. - იხილეთ

რედ. - რედაქტორი

შ.პ.ს. - შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

თებ. - თებერვალი

მარტ. - მარტი

გვ. - გვერდი

შესავალი

21-ე საუკუნე ჰუმანიზმის ხანაა. დღესდღეობით ადამიანის განვითარებამ კაცობრიობის ისტორიაში უმაღლეს მწვერვალს მიაღწია. სიცოცხლე კი კიდევ უფრო დაფასდა. თუმცა საკითხავია, ეს სინამდვილეა თუ მოჩვენებითი? მიუხედავად იმისა, რომ დღეს ადამიანები სიყვარულზე, ურთიერთ თანადგომაზე და ადამიანების ღირსებებზე საუბრობენ, ჯერ არ დაბადებული ბავშვები ყველას ავიწყდება და მათ, როგორც სხეულის უსარგებლო ნაწილებს, ისე ექცევიან. დღეს აბორტები მსოფლიოს სენია. მსოფლიოში 1980 წლიდან დღემდე დაახლოებით მილიარდ ნახევარი აბორტი არის ჩატარებული.[1] მსოფლიოს ქვეყნების უმრავლესობაში აბორტები ლეგალიზებულია, ხოლო იმ ქვეყნებში სადაც აბორტების მიმართ მკაცრი პოლიტიკაა, მოსახლეობა მოითხოვს, რომ აბორტები ლეგალური გახდეს.

აბორტების საკითხი არანაკლებ მნიშვნელოვანია საქართველოშიც. 2002 წლიდან 2018 წლის ჩათვლით საქართველოში დაახლოებით 426 900 აბორტი დაფიქსირდა.[2] ეს საგანგაშო მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში შობადობა არც ისე მაღალია, ხოლო მოსახლეობა სხვადასხვა მიზეზით წლიდან წლამდე მცირდება.

ეკლესია მუდამ გამოდიოდა აბორტების წინააღმდეგ. საქართველოს პატრიარქი ილია II, პატრიარქის თანამოსაყდრე სენაკისა და ჩხოროწყუს მიტროპოლიტი შიო, ასევე სხვა სასულიერო პირები მუდმივად ქადაგებენ აბორტის ცოდვის შესახებ.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს პრობლემა, რომელსაც აბორტების სიმრავლე ჰქვია, სახელმწიფო არ ზრუნავს დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის დაცვაზე. მეტიც საქართველოს სსკ 133-ე მუხლი, რომლითაც დასჯადია უკანონო აბორტი, ფეტუსის სიცოცხლეს საერთოდ არ იცავს. უღირს კი სახელმწიფოს თავისი შთამომავლობის სიცოცხლის ხარჯზე საკუთარი ,,ბედნიერი მომავლის“ აშენება?

აბორტის შესახებ ამერიკის ყოფილმა პრეზიდენტმა რონალდ რეიგანმა თქვა: ,, მე შევამჩნიე, რომ აბორტის მომხრეები ის ადამიანები არიან, რომელთაც უკვე მოასწრეს დაბადება.“ მართლაც, ჩვენ, ადამიანებს, რომლებიც უფლის წყალობით მოვევლინეთ ქვეყანას, გვაქვს უფლება უმიზეზოდ მოვუსწრაფოთ ჯერ არ დაბადებულ ბავშვებს სიცოცხლე?

მოცემული ნაშრომის მიზანია დაგვანახოს 21-ე საუკუნეში აბორტთან დაკავშირებული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა, დაგვანახოს მისი

[1] http://www.numberofabortions.com/, 2019წ.

[2] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური.

უარყოფითი მხარეები და მცირედით მაინც დაარწმუნოს ადამიანები, რომ ერს, რომელიც თავის მომავალს თავისსავე წიაღში ანადგურებს, მომავალი არ აქვს.

ნაშრომის დაწერისას გამოყენებულია ისტორიულ-სამართლებრივი, შედარებით სამართლებრივი, იურიდიულ განმარტებითი, სისტემურ-სტრუქტურული და დამუშავების მეთოდები. კვლევისას ასევე გამოყენებულია სოციოლოგიური კვლევის მეთოდი - სტატისტიკური მეთოდი, რითაც შესაძლებელი გახდა, უკეთ გაგვეგო პრობლემის არსი.

ნაშრომი შედგება ოთხი თავის, შესავალი და დასკვნითი ნაწილისაგან. ნაშრომის პირველ თავში, რომელიც ორი პარაგრაფისაგან შედგება, განხილულია უკანონო აბორტისათვის პასუხისმგებლობა ისტორიულ ჭრილში. მეორე თავში მოცემულია აბორტის განმარტება და მისი მნიშვნელობა, იგი შედგება სამი პარაგრაფისაგან. ყველაზე მოცულობითი არის მესამე თავი, რომელშიც ნაშრომის ძირითადი ნაწილია მოცემული, ხოლო ბოლო მეოთხე თავი ეხება აბორტის რელიგიურ მხარეს. ნაშრომში ასევე მოცემულია გამოყენებული მასალის ბიბლიოგრფიაც.

I თავი - პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის - ისტორიული ანალიზი

1.1. პასუხისმგებლობა აბორტისთვის ქართული სამართლის ისტორიული ძეგლების მიხედვით

ყველა კანონმდებელმა საკუთარი ქვეყნის კანონმდებლობის შექმნისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს ისტორია, გამოცდილება და ზნე-ჩვეულებები. ამ ყველაფრის შესწავლა ეხმარება მას, უფრო ღრმად ჩასწვდეს ხალხის შინაგან მორალურ მდგომარეობას და შექმნას ისეთი კანონი, რომელიც იმუშავებს მის ქვეყანაში და ხალხის მორალურ პრინციპებსაც არ შეეწინააღმდეგება.

საქართველოში, მთელი ისტორიის მანძილზე, ერთმანეთთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული საერო და საეკლესიო ხელისუფლება, შესაბამისად საქართველოში მოქმედებდა როგორც საეკლესიო, ისე საერო სამართალი. ეს პროცესი საქართველოში საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა, რამაც დიდი გავლენა იქონია ქართველი ადამიანის ბუნების ჩამოყალიბებაში.

ადამიანები ადვილად ვივიწყებთ წარსულ გამოცდილებას და ხშირად ვუშვებთ ერთი და იგივე შეცდომებს. მოდით გავეცნოთ ქართული სამართლის ისტორიულ ძეგლებს და ვნახოთ, როგორი იყო პასუხისმგებლობა აბორტისთვის.

ძველ საქართველოში საეკლესიო სამართლით მუცლის მოწყვეტა დასჯადი იყო ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე[3]. ვინაიდან საეკლესიო სამართალი იშვიათად ექვემდებარება ცვლილებას, დღესაც სწორედ ასეთია ეკლესიის დამოკიდებულება აბორტთან მიმართებაში. საეკლესიო სამართლით აბორტი ნებადართული იყო მაშინ, როდესაც ნაყოფი საფრთხეს უქმნიდა ქალის სიცოცხლეს. ამ შემთხვევაში წარმოიშობა კოლიზია ნაყოფის და დედის სიცოცხლის უფლებას შორის. ორსული ქალისთვის მუცლის მოშლის აკრძალვა იმ დროს, როდესაც ნაყოფი ორსულის სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის, იქნებოდა თვითმკვლელობის იძულება, რაც კანონიკური სამართლით უდიდეს ცოდვად ითვლება. არავის არა აქვს უფლება აიძულოს ორსული ქალი, თავი შესწიროს ნაყოფის სიცოცხლის გადარჩენას.[4]

დიდი სჯულისკანონი მუცლის ხელოვნურად მოშლას მკვლელობასთან აიგივებდა და პასუხისმგებლობას აკისრებდა როგორც იმას, ვინც ქალს მუცელი მოუშალა, ისე ორსულ ქალს. მუცლის ხელოვნურად მოშლა გამოცხადებული იყო როგორც ნაყოფის სიცოცხლის მოსპობა (ვინაიდან კანონი ფეტუსს ჩასახვის მომენტიდან სიცოცხლის მატარებლად აცხადებდა) და თვითმკვლელობისკენ გადადგმული ნაბიჯი, ვინაიდან საფრთხე ექმნებოდა ორსულის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

დიდი სჯულისკანონით, დედის მიმართ, რომელიც ნაყოფს მუცელში სპობდა, გამოიყენებოდა სხვადასხვა სახის სასჯელები, რომელთაგან ერთ-ერთს უზიარებლობა წარმოადგენდა. უზიარებლობა საეკლესიო სასჯელის სახე იყო, რომელსაც შემდგომ მორწმუნე ადამიანისთვის მეტად მძიმე შედეგი მოჰყვებოდა, კერძოდ, ვინც სამი კვირის განმავლობაში არ ეზიარებოდა, კანონის თანახმად, ეკლესიიდან უნდა განდევნილიყო. თავდაპირველად ზემოაღნიშნული დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ გამოიყენებოდა სიკვდილამდე უზიარებლობა, რომელიც შემდგომ შეიცვალა 10 წლამდე უზიარებლობით.[5]

ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის თანახმად (ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, მუხლი 76, 77), ქალს, რომელიც რაიმე წამლით მუცელში შვილს მოიკლავდა, სასჯელად დროებითი ექსორია ენიშნებოდა, ქმარი მას მაშინვე უნდა გაშორებოდა. მუცლის მოსაშლელი წამლის მიმცემს, თუ იგი ღარიბი იყო, მეფისგან შეპყრობა, ცემა და გამაწბილებელი სასჯელი (გაკრეჭა, ვირზე შესმა და სხვა) მოელოდა, ხოლო თუ მდიდარი - დარბევა და

[3] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 315.
[4] იქვე, გვ. 315.
[5] იქვე, გვ. 316.

გაძევება. თუ წამლის მიღების შემდეგ ქალი მოკვდებოდა, დამნაშავეს თავს მოჰკვეთდნენ.[6]

დავით ბატონიშვილის სამართლის მიხედვით, დედაკაცი მუცლის პირველად მოშლისთვის ეკლესიური კანონით ისჯებოდა, ხოლო განმეორებით მისი ჩადენა მიჩნეული იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და იგი გამათრახებით ისჯებოდა. საყურადღებოა, რომ მოცემული სამართლის მიხედვით, როცა წამლის მიმცემი გაუფრთხილებლობით მოქმედებდა, იგი უფრო მსუბუქად ისჯებოდა, ვიდრე წამლის განზრახ მიმცემი. აქედან ჩანს, რომ დავით ბაონიშვილის სამართალი დიფერენცირებულ პასუხისმგებლობას აწესებდა განზრახი და გაუფრთხილებლობითი დანაშაულისათვის.[7]

როგორც ქართული სამართლის ისტორიული ძეგლებიდან ჩანს, ძველად საკმაოდ მკაცრი დამოკიდებულება იყო აბორტების მიმართ. ფეტუსი აღიქმებოდა ცოცხალ ადამიანად და აბორტი დასაშვები მხოლოდ იმ შემთვევაში იყო, როდესაც საფრთხე ექმნებოდა დედის სიცოცხლეს. ასევე სასჯელი ეკისრებოდა არა მარტო მუცლის მოსაშლელი წამლების მიმცემს, არამედ დედასაც, რომელიც განზრახ იკლავდა თავის შვილს მუცელში. დღესდღეობით უკვე დამტკიცებულია, რომ ფეტუსი ჩასახვის მომენტიდანვე ცოცხალი არსებაა, თუმცა კანონმდებლების დამოკიდებულება მოცემული საკითხისადმი მეტად გულგრილია. უკანონო აბორტის ფარგლები მეტად დავიწროებულია, ვინაიდან 12 კვირამდე, ნებისმიერ დედას, შეუძლია ნებისმიერი პრობლემის გარეშე გაიკეთოს აბორტი. ამისათვის მხოლოდ მისი სურვილია საჭირო, ხოლო 12 დან 22 კვირამდე აბორტის დასაშვებობის პირობები საკმაოდ ფართოა. ფაქტიურად, არ არსებობს არანაირი აუცილებლობა, რომ ადამიანმა საქართველოს სსკ-ის 133 მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ჩაიდინოს. ამას სასამართლო პრაქტიკაც მოწმობს, ვინაიდან ფაქტიურად არ არსებობს ქართული სასამართლო გადაყვეტილება, რომელიც დეტალურად იმსჯელებდა ამ საკითხთან მიმართებაში. პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ დედა სრულად თავისუფალია პასუხისმგებლობისგან. ამის მიზეზია ის, რომ ფეტუსი დედის სხეულის ნაწილადაა აღქმული, ადამიანს კი პასუხისმგებლობას ვერ დავაკისრებთ თვითდაზიანებისთვის.

---

[6] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 316.

[7] იქვე, გვ. 316.

1.2 პასუხისმგებლობა აბორტისთვის უცხო ქვეყნების ძველი სამართლის მიხედვით

გარდა ქართული სამართლის ისტორიული ძგლებისა, ასევე მნიშვნელოვანია გავიგოთ თუ როგორი დამოკიდებულება ჰქონდათ სხვადასხვა ქვეყნებს აბორტების მიმართ, ისტორიის განმავლობაში.

ბერძნული სამართლის მიხედვით, მუცლის მოშლისთვის ქალის მიმართ გამოიყენებენოდა ექსორია, ანუ გაძევება, რომელიც დამნაშავის მფარველობის გარეშე დატოვებას გულისხმობდა. გაძევებული პირის მოკვლისთვის არავინ აგებდა პასუხს და ამასთან, არავის ჰქონდა უფლება, მისთვის თავშესაფარი აღმოეჩინა.[8]

ბერძნული სამართლის მიხედვით, თუ დედაკაცისთვის მუცლის მოსაშლელად წამლის მიცემას ქალის სიკვდილი მოჰყვებოდა, წამლის მიმცემი სიკვდილით ისჯებოდა. ანალოგიური სახის სასჯელი გამოიყენებოდა იმ შემთხვევაშიც, როდესაც ქალის სიკვდილის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება გააჩნდა.[9]

მხითარ გოშის სამართლის მიხედვით, თუკი ქალი ნაყოფს მოიშლიდა წამლით ან სხვა საშუალებით, შესაძლოა სიკვდილითაც დასჯილიყო.[10]

თავდაპირველად რომის სამართალში ჩანასახი განმარტებული იყო, როგორც დედის სხეულის ნაწილი (pars viscerum), ამიტომ ქალს არ სჯიდნენ ნაყოფის მოკვლის ან მუცლიდან მისი მოცილების გამო. მოგვიანებით ემბრიონს (nasciturus - ,,დაბადების უფლების მქონე“) მიენიჭა ზოგიერთი სამოქალაქო უფლება. ხელოვნურ აბორტს განმარტავდნენ, როგორც დანაშაულს მშობლების უფლებათა წინააღმდეგ, თუკი ვინმე შეეცდებოდა ამ გზით მიეღწია ქონებრივი უფლებებისათვის.[11]

ემბრიონის, როგორც ღირებულების გააზრება დაკავშირებულია ქრისტიანობის წარმოშობასთან. უკვე ადრეულ ქრისტიანულ ეპოქაში აბორტი გაიგივებული იყო მკვლელობასთან. მამა ბასილი დიდი წერდა: ,,მუცლად ჩასახული ნაყოფის მოკვდინება ისეთივე გაკიცხვას იმსახურებს, როგორც მკვლელობა“.[12]

---

[8] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 243.

[9] იქვე, გვ. 244.

[10] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 181.

[11] იქვე, გვ. 244.

[12] იქვე, გვ. 244.

შუა საუკუნეებში, როცა ეკლესია ამტკიცებდა, რომ მუცლად ყოფნის განვითარების განსაზღვრულ მომენტში ემბრიონი უკვდავ სულს იძენს, აბორტი მკაცრად ისჯებოდა. გერმანულ კანონთა კრებულ ,,კაროლინას“ თანახმად (XVI საუკუნე), აბორტის - ცოცხალი (სულიერი) ნაყოფის განადგურების შემთხვევაში დედა სიკვდილით ისჯებოდა. აბორტისათვის სიკვდილით დასჯა რუსეთშიც შემოიღეს 1649 წელს და გაუქმდა ერთი საუკუნის შემდეგ.[13]

ებრაულ სამართალზე მსჯელობისას შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბიბლიაში სიტყვა ,,აბორტი“ არ გვხვდება, მაგრამ ამ დამღუპველ მოვლენასთან დაკავშირებით, ჩვენ სრულიად ნათელი დასკვნების გამოტანა შეგვიძლია.[14]

ძველ აღთქმაში ნახსენები მუცლის ხელოვნური მოშლა რაღაც შემთხვევის გამო, განიხილება, როგორც დანაშაული: ,,თუ კაცები ერთმანეთთან ჩხუბის დროს ორსულ ქალს დაჰკრავენ ხელს და მუცელს მოუწყვეტენ, მაგრამ უბედური შემთხვევა არ იქნება, ჯარიმა გადახდებათ, რამდენსაც ქალის ქმარი დაუნიშნავს და მსაჯულები დაადგენენ“.[15]

აბორტი ძველ სამყაროში ცნობილი იყო. მას ახსენებს არისტოტელე, ჰიპოკრატე, ოვიდიუსი. შეუძლებელია ძველ ისრაელიანთ არ სცოდნოდათ მის შესახებ. ამისდა მიუხედავად, მუცლის ხელოვნური მოშლა არსადაა ნახსენები არც მოსეს რჯულში, არც წინასწარმეტყველებში. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ძველ იუდეველს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა მოესპო საკუთარი შთამომავლობა.[16]

როგორც ვხედავთ, სხვადასხვა ქვეყნების ძევლი სამართალი, აბორტებთან დამოკიდებულების მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდებოდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ნაყოფი აღიქმებოდა როგორც ცოცხალი არსება, და ხშირ შემთხვევაში გარკვეულ დაცვასაც ექვემდებარებოდა. მოცემული ფაქტები აუცილებლად გასაზიარებელია დღევანდელი კანონმდებლის მიერ, რაც დაეხმარება მათ შექმნას სრულყოფილი კანონმდებლობა აბორტთან მიმართებაში.

---

[13] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 245.

[14] დ. შონვაძე, რედ. დეკანოზი არჩილ ხაჩიძე, დეკანოზი იოანე მამნიაშვილი, ეკლესიის საუნჯე (მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები), დაიბეჭდა შ.პ.ს. ,,ფავორიტ პრინტში“ თბ. 2013, გ. 148-149.

[15] იქვე, გვ. 148-149.

[16] იქვე, გვ. 148-149.

II თავი - აბორტის ცნება, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი

2.1 აბორტის ცნება

21-ე საუკუნეში აბორტი უკვე მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. გაზრდილია აბორტების რიცხვი მთელს მსოფლიოში. საზოგადოება ნაკლებ მზრუნველობას იჩენს უდიდესი მადლის - სიცოცხლის მიმართ. მატერიალიზმი და ეგოიზმი მართავს ადამიანის ცხოვრებას, ის მოწყურებულია ბატონობას ღმერთის გარეშე: ,,ცხოვრება ჩემია და მე ვწყვეტ, როგორ უნდა ვიცხოვრო", ანუ არ უნდა გაჩნდეს ადამიანი, რომელიც მე ხელს მიშლის. ერები ბერდებიან იმიტომ რომ იწყობენ თავის საქმეს არშობილი შვილების სიცოცხლის ფასად.[17]

სიტყვა ,,აბორტი" ლათინური წარმოშობისაა (abortus) და მუცლის მოწყვეტას, მოშლას ნიშნავს, რაც თავის მხრივ, ორსულობის ნაადრევ შეწყვეტას გულისხმობს, საშვილოსნოდან ნაყოფის გამოძევებით.[18]

დღეს, როგორც ჯონ ტ. ნუანი აღნიშნავს ხდება ისე, რომ ერთი ადამიანის უფლება - გაიკეთოს აბორტი, არის მეორე ადამიანის სიცოცხლის უფლების დარღვევა.[19] აბორტის პრობლემა, ჩვენი დაკვირვებით ნაწილობრივ დაკავშირებულია იმასთან, რომ დედებისა და ექიმების უმრავლესობა არ სცნობს ბავშვს დედის მუცლად ყოფნისას სრულფასოვან ადამიანად, რომელსაც შეუძლია იგრძნოს აბორტით მიყენებულო ტკივილი.[20]

თანამედროვე მედიცინა ქალს აბორტის შემდეგ ტიპებს სთავაზობს:

- ქირურგიული აბორტი,
- ვაკუუმური (მინი) აბორტი,
- მედიკამენტური აბორტი.

სამედიცინო ქირურგიული აბორტი ტარდება ორსულობის გვიან ვადებში, როცა, ორსულობის ვადა 5 თვეს აღემატება, კეთდება მხოლოდ

---

[17] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 235.

[18] იხ. აბორტი, თავისუფალი ქართულენოვანი ენციკლოპედიიდან, https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98, 2019წ.

[19] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 243.

[20] იქვე, გვ. 235.

სპეციალიზებულ სამედიცინო დაწესებულებაში, გამოცდილი ქირურგის მიერ, ზოგადი ნარკოზით.[21]

ვაკუუმური (მინი) აბორტი ტარდება იმ შემთხვევაში, როცა ორსულობის ვადა 5 კვირას არ აღემატება. იგი ტარდება ვაკუუმური ასპირაციით, ულტრაბგერითი გამოკვლევის კონტროლით. მისი ხანგრძლივობა შეადგენს 5-7 წუთს, ხოლო შეხორცების პროცესი საკმაოდ სწრაფად და თითქმის უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. ვაკუუმური აბორტი ტარდება სამედიცინო დაწესებულებაში ექიმის მიერ წინასწარი კონსულტაციისა და გამოკვლევის შემდეგ.[22]

მედიკამენტური აბორტი გულისხმობს ორსულობის შეწყვეტას აბებით, იგი ტარდება ორსულობის ადრეულ ვადებში და პრაქტიკულად უსაფრთხოა დედისათვის. მედიკამენტური აბორტი კეთდება სამედიცინო პრეპარატების მეშვეობით და არ წარმოადგენს ქირურგიულ ჩარევას. ასეთი მეთოდის გამოყენებით, ინფექციის რისკი გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა სახის აბორტების შემთხვევაში.[23]

აბორტის შედეგი არის ფეტუსის სიცოცხლის მოსპობა, თუმცა ძალიან ცოტა ქალმა თუ იცის იმის შესახებ, რა საფრთხე ემუქრება თავად მას აბორტის შემთხვევაში. 1972 წელს აშშ-ს მთელს ტერიტორიაზე უკანონო აბორტების შედეგად მხოლოდ 39 ქალი დაიღუპა, გამოდის, რომ ქვეყანაში არ განხორციელებულა ბევრი კანონიერი აბორტი, ან ყველა კანონიერი აბორტი საოცრად უსაფრთხო იყო. სინამდვილეში აღნიშულ წელს ლეგალურად გაკეთებული აბორტების შედეგად კიდევ 25 ქალი დაიღუპა, თუმცა მოცემული ციფრები სრულიად არასერიოზულია და მიზნად პრობლემების რეალური სურათის დაფარვას ისახავს.[24]

აბორტის დროს დაფიქსირებული გარდაცვალების ფაქტები მხოლოდ აისბერგის მწვერვალია. გაცილებით გავრცელებულია ჯანმრთელობის სხვადასხვა სერიოზული გართულებები, მათ შორის მუდმივი უნაყოფობა.[25]

ექიმების პრაქტიკულმა დაკვირვებებმა ცხადყო, რომ აბორტებთან ასზე მეტი ფიზიკური გართულებაა დაკავშირებული. მათ შორის არის: ინფექცია, სისხლდენა, საშვილოსნოს ყელისა და სხვადასხვა შინაგანი ორგანოს დაზიანება, საშვილოსნოს პერფორაცია, მუცლის არისა და თავის ტკივილი, თავბრუსხვევა და თრომბი. პრაქტიკაში ისიც გამოიკვეთა, რომ რიგ

[21] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 245-246
[22] იქვე, გვ. 246.
[23] იქვე, გვ. 246.
[24] იქვე, გვ. 269.
[25] იქვე, გვ. 269.

შემთხვევაში, დღევანდელმა ე.წ. ,,უსაფრთხო და ლეგალურმა“ აბორტებმა შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი.[26]

ნაყოფი საშვილოსნოს კედელზე პლაცენტითაა მიმაგრებული და მისი იძულებით აგლეჯა იწვევს საკმაოდ ძლიერ სისხლდენას, რაც შეიძლება სიცოცხლისათვის სახიფათო აღმოჩნდეს. სისხლდენა აბორტის შემდეგ არის ნიშანი სანაყოფე კვერცხის არასრული მოცილებისა ან საშვილოსნოში წარმოქმნილი ჭრილობისა.[27]

რაც შეეხება გრძელვადიან ფიზიკურ გართულებებს, ამ უკანასკნელს მიეკუთვნება: უნაყოფობა, მკვდარი ბავშვების დაბადება, მუცლის ხშირი მოშლა და ნაადრევი მშობიარობა, რამაც მრავალი გართულება შეიძლება გამოიწვიოს ახალშობილებში.[28]

ხელოვნური აბორტი ძალზედ უარყოფითად მოქმედებს ქალის ჯანმრთელობაზე, მის ფსიქიკაზე, ნერვულ სისტემაზე, ხშირად იწვევს გართულებას, სასქესო ორგანოების ანთებას, ჰორმონული ფუნქციისა და მენსტრუალური ციკლის მოშლას, ნაადრევ სიბერესა და უშვილობას, რაც ზოგადი სტატისტიკით, ქალის უშვილობის ყველა მიზეზის 30%-ს შეადგენს. განსაკუთრებით მავნე და სარისკოა აბორტი პირველი ორსულობის დროს.[29]

ჰიპოკრატე, ,,თანამედროვე მედიცინის მამა“ და სორანოსი, უძველესი ხანის უდიდესი გინეკოლოგი, აბორტის წინააღმდეგ გამოდიოდნენ. ჰიპოკრატეს ფიცი, რომელიც ჩამოყალიბდა ჩვენ წელთაღრიცხვამდე 400 წელს, აშკარად კრძალავს აბორტს.[30]

ჰიპოკრატეს ფიცი კარგად იყო ცნობილი თავისი პირობებით - ,,არავის არ მივცემ მომაკვდინებელ წამალს და მოთხოვნის მიუხედავადაც არ შევთავაზებ მას. შესაბამისად, არ მივცემ ქალს აბორტისთვის აბს. გაჭირვებასა და ლხინში დავიცავ სიცოცხლესა და ჩემს ხელობას.[31]

არისტოტელეც კი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა აბორტს გარკვეულ შემთხვევებში, აუცილებელ პირობად აყენებდა, რომ აბორტი უნდა განხორციელებულიყო ,,მანამ, სანამ ჩანასახში ჩამოყალიბდებოდა მგრძნობელობა და აქტიურობა მოძრაობისათვის.''[32]

როგორც ვხედავთ, აბორტი არც თუ ისე სასიამოვნო პროცედურაა, გარდა ამისა, აბორტის დროს ხდება ჯერ არ დაბადებული სიცოცხლის მოსპობა, ასევე

---

[26] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 270.
[27] იქვე, გვ. 270.
[28] იქვე, გვ. 270.
[29] იქვე, გვ. 270-271.
[30] იქვე, გვ. 249.
[31] იქვე, გვ. 249.
[32] იქვე, გვ. 243.

სერიოზული ზიანი ადგება ქალის ჯანმრთელობას და შესაძლოა ზოგ შემთხვევაში სიკვდილიც გამოიწვიოს, ეს ყველაფერი კი სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს.

2.2. ფეტუსის სიცოცხლე, როგორც სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი

2.2.1. ფეტუსის ცნება

ფეტუსის სიცოცხლის უფლება მჭიდროდ ემიჯნება სამართლებრივ, სოციალურ, ეთიკურ, რელიგიურ, სამედიცინო და ფილოსოფიურ საკითხებს და ამდენად, კომპლექსურ გააზრებას მოითხოვს.[33] სიცოცხლის ძირითად უფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ორსულობის შეწყვეტის სამართლებრივი მოწესრიგების საკითხში. საერთოდ, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აბორტთან დაკავშირებული პრობლემები ხშირად ქცეულა მწვავე საჯარო დისკუსიისა და პოლემიკის საგანი. საკითხი პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აქ ნაყოფის სიცოცხლის ძირითადი უფლება უპირისპირდება ქალის უფლებას, შეზღუდვების გარეშე გადაწყვიტოს ორსულობის საკითხი, ორსულობის ნებისმიერ სტადიაზე, ასევე თავად მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ჯანმრთელობის შესახებ.[34]

ფეტუსი, ჩასახვის მომეტიდან, შეზღუდული უფლებების მატარებელი პოტენციური ადამიანია, რომელიც ჯერ არ გამხდარა სრულყოფილი ადამიანი და პიროვნება. საზოგადოებას ფეტუსის მიმართ ერთი კონკრეტული პასუხისმგებლობა გააჩნია - იგი მიიღოს ზუსტად ისეთი, როგორიც არის, არ უარყოს მისი ადამიანური საწყისი, მასთან დაკავშირებით იყოს შემწყნარებლური და გაიაზროს, რომ ფეტუსი არამც და არამც არ არის დედის სხეულის უუფლებო უფუნქციო ნაწილი, რომელიც დამოუკიდებელი არსება მხოლოდ დაბადების შემდეგ ხდება.[35]

საგულისხმოა, რომ ფეტუსის საყოველთაოდ აღიარებული სამართლებრივი დეფინიცია არ არსებობს. უმრავლესი ევროპული ქვეყანა ასეთ დეფინიციას საერთოდ არ იცნობს (ბელგია, დანია, ფინეთი, საფრანგეთი),

[33] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 234.
[34] იქვე, გვ. 234.
[35] იქვე, გვ. 236.

ზოგიერთ ქვეყანაში არსებობს ფეტუსის დეფინიცია (ავსტრია, გერმანია, ესპანეთი), მაგრამ ეს დეფინიციები განსხვავებულია. ავსტრიის კანონმდებლობა ფეტუსს მოიხსენიებს შემდეგნაირად - ,,განვითარებული უჯრედები", რაც განსაზღვრულია როგორც განაყოფიერებული საკვერცხე და მისგან განვითარებული უჯრედები. გერმანიაში ფეტუსის შემდეგი დეფინიციაა დამკვიდრებული - ადამიანის განაყოფიერებული კვერცხუჯრედი, რომელსაც უჯრედთან შერწყმის მომენტიდან შეუძლია განვითარება. ესპანეთის კანონმდებლობა მნიშვნელობას ანიჭებს განაყოფიერებული კვერცხუჯრედის ასაკს და ფეტუსსა და ემბრიონს განსაზღვრავს შემდეგნაირად - ემბრიონამდელი მდგომარეობა, ე.ი. ფეტუსი არის ბუნებრივად ან ხელოვნურად განაყოფიერებული კვერცხუჯრედი განაყოფიერებიდან 14 დღემდე; ემბრიონი - განაყოფიერებული კვერცხუჯრედი განაყოფიერებიდან 14 დღის შემდეგ ორნახევარ თვემდე.[36]

და მაინც ვინ არის ემბრიონი (ფეტუსი)?

- ემბრიონი ადამიანის სიცოცხლის ფორმაა;
- ეს ადამიანური სიცოცხლე არის ინდივიდუალური;
- მას აქვს პიროვნული ბუნება.[37]

ემბრიონი არ არის რაღაც ბიოლოგიური ობიექტი, არამედ არსებობის პირველივე მომენტიდან ადამიანის სიცოცხლის ემბრიონული ფორმაა, გენეტიკური მემკვიდრეობით, დიფერენცირებული დინამიკით, ბიოქიმიური და მეტაბოლური ხასიათით, რაც მხოლოდ ადამიანის მახასიათებელია.[38]

ემბრიონი - არა მხოლოდ ადამიანის სიცოცხლის ფორმა, არამედ ადამიანის სახეობის ინდივიდია. ეს მტკიცება დაფუძნებულია გენეტიკური მემკვიდრეობის, ხასიათის განსაკუთრებულობასა და უნიკალურობაზე. მისი მეტბოლური პროცესების ავტონომიაზე დედასთან მიმართებაში, ასევე იმ ფაქტზე რომ ის ფლობს შინაგან მიმართულებას თავისი განვითარების სისრულის მიღწევისაკენ.[39]

ცნობილი ფრანგი პროფესორი, პარიზის უნივერსიტეტის უჯრედის გენეტიკის წამყვანი სპეციალისტი ჟერომ ლეჟენი წერს: „ადამიანი არის ის, ვინც ეკუთვნის ჩვენს (ადამიანურ) მოდგმას. მნიშვნელობა არ აქვს კილოგრამებისა და დიფერენციაციების რაოდენობას," თითოეული პიროვნების დამახასიათებელი ნიშანი - სქესი, თვალის ფერი, ფეხის ზომა, ინტელექტი და

[36] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 237.
[37] იქვე, გვ. 238.
[38] იქვე, გვ. 238.
[39] იქვე, გვ. 239.

სხვა, ჩასახვისთანავე ადამიანის 46 ქრომოსომაში, ბავშვის გენეტიკის კოდში არის ჩადებული.[40]

დღესდღეობით მედიცინას ძალუძს 25- კვირიან ნაადრევად დაბადებულ ბავშვს შეუნარჩუნოს სიცოცხლე. ეს ციფრი არც თუ დიდი ხნის წინ 30 კვირა იყო. მედიცინა ნახტომისებური ნაბიჯებით მიიწევს წინ. ხვალ შეიძლება ეს ციფრი უფრო შემცირდეს. ამის დასტურია ისიც, რომ მოხერხდა 19-კვირიანი კენი კინგის გადარჩენა (დაიბადა 1985 წელს ამერიკაში), რომელიც მხოლოდ 510 გრამს იწონიდა. მიუხედავად მისი წინისა და განვითარების დონისა, იგი დაიბადა როგორც სრულყოფილი ადამიანი და სიცოცხლე ისევე განაგრძო, როგორც ის ახალშობილი განაგრძობს, რომელმაც დედის სხეულში სრული ცხრა თვე გაატარა.[41]

გარდა იმისა, რომ ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ხელი შეუწყო ფეტუსის სიცოცხლის გადარჩენას, ასევე საფრთხე შეექმნა მის მნიშვნელობასაც - ,,აბორტირებული ნაყოფის ქსოვილები ფართოდ გამოიყენება თერაპიის (მედიკამენტების დამზადება), ტრანსპლანტაციისა თუ სამეცნიერო კვლევის მიზნით. აბორტირებული ნაყოფის ქსოვილებს ან მთლიანად, გეგმიური აბორტის შედეგად მიღებულ 150-480 გრ. ემბრიონს ეფექტურად იყენებენ ტრანსპლანტაციაშიც. აბორტირებული ნაყოფის გამოყენება წარმატებულია ასევე პარკინსონის დაავადებისა და დიაბეტის მკურნალობაში. აბორტირებული ფეტუსის გამოყნებით არის დამზადებული ზოგიერთი ვაქცინა, მაგ: rubella, HepA, RAB-HDC, VAR, ZOS, რომლებიც სხვადასხვა დაავადების ვაქცინაციის დროს გამოიყენება, მათ შორის ბავშვებში.[42] წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაშიც შეიძლება აღმოჩნდეს ფეტუსი (ჯერ არ დაბადებული ადამიანი), თუ მედიცინამ კიდევ უფრო გააფართოვა აბორტირებული ემბრიონის უჯრედების გამოყენება სამედიცინო მიზნით. შეიძლება ზოგიერთმა ადამიანმა თქვას, რომ ამაში ცუდი არაფერია, ვინაიდან ფეტუსის ნაწილები გამოიყენება სხვა ადამიანების სიცოცლის გადასარჩენად, მაგრამ როგორ დამოკიდებულებას იწვევს ჩვენში ადამიანების ორგანოებით ვაჭრობა? ან თუნდაც ადამიანის მკვლელობა, რომ მისი ორგანოს სხვა ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად იქნეს გამოყენებული?

თუ ფეტუსს, ჯერ არ დაბადებულ ადამიანს, არ მოვუფრთხილდებით - ევოლუციური თვალთახედვით ადამიანის დანიშნულება და ზნეობრივი ნორმები ყოველგვარ აზრს კარგავს, რადგან გამოდის, რომ ადამიანი ნადირია, რომელსაც, ბუნებრივია, ესაჭიროება არა მაღალი იდეალები, არამედ ჩვევების

[40] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 281.
[41] იქვე, გვ. 282.
[42] იქვე, გვ. 240.

გაწვრთნა-გახედვნა. აბორტები რეკაპიტულაციის თეორიის გამოჩენამდე ყველგან განიხილებოდა, როგორც მკვლელობა. მაგრამ ჰეგელმა ,,დაამტკიცა", რომ ადამიანის ჩანასახი მხოლოდ ევოლუციონირებადი თევზი ან თავკომბალაა, ამიტომ მისი მკვლელობა არაფერს ნიშნავს. ეს ცოდნა საშინელია თავისი მასშტაბებით და სიადვილით. არც ერთ საკონცენტრაციო ბანაკს და ომებს არ წაუღია იმდენი სიცოცხლე, რამდენიც წაიღეს აბორტებმა.[43]

2.2.2. ფეტუსის სტატუსი აბორტის დროს

სიცოცხლის უფლება წარმოადგენს ადამიანის ძირითად, ხელშეუვალ უფლებას, საიდანაც გამომდინარეობს ყველა სხვა უფლება. იგი ადამიანის ღირსების არსებითი ელემენტი და დანარჩენი უფლების ,,სასიცოცხლო" წინაპირობაა, შესაბამისად, ,,სიცოცხლის უფლების ხელყოფა შეუძლებელს ხდის ნებისმიერი სხვა უფლების განხორციელებას.[44]

სანამ ვიმსჯელებდეთ, თუ რა სტატუსი აქვს ფეტუსს აბორტის დროს, ჯერ გავარკვიოთ, არის თუ არა ფეტუსი ცოცხალი ადამიანი და იწყება თუ არა ადამიანის სიცოცხლე ჩასახვის მომენტიდან. შემდეგ კი შევძლებთ გავარკვიოთ რა სტატუსის მატარებელი უნდა იყოს ფეტუსი.

ცნობილმა ამერიკელმა მეან-გინეკოლოგმა დოქტორმა ბერნარდ ნათანსონმა შეისწავლა ემბრიონის სიცოხლე და გამოარკვია, თუ როდის იწყებს ის არსებობას. მან გამოიყენა ისეთი სამედიცინო ტექნიკური საშუალებები, როგორებიცაა: ულტრაბგერა, ემბრიოსკოპია, ემბრიონის გულის ელექტრონული მონიტორინგი, ჰიპეროსკოპია, რადიობიოლოგია და სხვა. გამოკვლევები ასაბუთებს, რომ ჩანასახი დამოუკიდებელი ადამიანია და ეს მეცნიერული ჭეშმარიტებაა. მან თავის გამოკვლევაზე გადაიღი ფილმი - ,,უხმო ყვირილი." ფილმში აღბეჭდილია 12 კვირის ფეტუსის მდგომარეობა აბორტის დროს. ფილმში აბორტის პროცესია გადაღებული. მასში აშკარად ჩანს, როგორ ცდილობს ჩანასახი, უკვე სავსებით ჩამოყალიბებული, ოღონდ ჯერ დედის საშოში მყოფი პაწაწინა ადამიანი, აიცილოს მოსაკლავად მომართული იარაღი. ფილმის მსვლელობისას ექიმი ნათანსონი აცხადებს, რომ აბორტის დაწყებამდე ნაყოფი მშვიდად გრძნობდა თავს, აბორტის პროცესის დაწყების მომენტიდან კი ფეტუსმა სწრაფი მოძრაობა დაიწყო, გულის ცემა აუჩქარდა 140-დან 200-მდე,

[43] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 273.

[44] ი. გელაშვილი, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ., 2012. გვ. 10.

ნაყოფი ფართოდ აღებდა პირს და უხმოდ ყვიროდა. ეს ყველაფერი სრულიად საოცარი და მოულოდნელი მოვლენა იყო მისთვის, რამაც იგი დაარწმუნა, რომ ფეტუსი გრძნობს და განიცდის აბორტს.[45] დოქტორი ნათანსონის კვლევა დადასტურებაა იმისა, რომ ადამიანი სიცოცხლეს იძენს ჩასახვის მომენტიდან. ის, რაც იქნება ზრდასრული ადამიანი, უკვე მთლიანად ჩადებულია ემბრიონში და ფაქტიურად მზად არის სრულად გამოვლინდეს, მაშინ როცა მთლიანად რეალიზებული იქნება ნაყოფის გენით.[46] გარდა ამისა, 21-ე საუკუნეში დიდი ხანია დამტკიცებულია, რომ ფეტუსი მართლაც რომ სულიერი არსებაა, დამოუკიდებელი სიცოცხლეა, რომელიც განვითარების გარკვეულ ეტაპზე საზოგადოების სრულფასოვანი წევრი ხდება. ეს ეტაპი კი აუცილებლად ორსულობის სრული ვადის (ცხრა თვე) გასვლის შემდეგ არ დგება, ზოგჯერ კი გაცილებით ადრე (ექვსი, შვიდი, რვა თვე), ზოგჯერ კი წარმოუდგენლად ადრე (ხუთი თვე) დგება.[47]

სამედიცინო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ სიცოცხლე იწყება ჩასახვის მომენტიდან, მაგრამ კანონმდებობა სიცოცხლის დაწყების მომენტს ცოტა სხვაგვარად უყურებს. იგი სიცოცხლის დასაწყისად თვლის დაბადებას, ხოლო დაბადებად - ბავშვის დედის სხეულიდან განშორების დაწყების პროცესს მიიჩნევს.[48] ქართული კანონმდებლობაც მსგავს აზრს იზიარებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლის მიხედვით დასჯადია უკანონო აბორტი. ეს მუხლი იცავს ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას და არა ფეტუსის სიცოცხლეს. ამ დასკვნის გაკეთება შეიძლება იქედან, რომ 133-ე მუხლი მოცემულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის თავში და არა სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების თავში. აბორტის დროს საფრთხე ექმნება დედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ფეტუსი კი კვდება. თუ ნორმის მიზანი დაუბადებელი ფეტუსის სიცოცხლის დაცვა იქნებოდა, კანონმდებელი ამ ნორმას სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხის შექმნის თავში მოათავსებდა, რომ უკეთ გამოკვეთილიყო კანონმდებლის მიზანი. მაგრამ ვინაიდან აბორტის დროს ფეტუსის სიცოცხლე უგულებელყოფილია, შესაბამისად, კოდექსში ნორმის მდებარეობა გვიჩვენებს, რომ კანონმდებელმა ამ ნორმის შემოღებით დედის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას მიანიჭა უპირატესობა ფეტუსის სიცოცხლესთან მიმართებაში.

---

[45] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 275-276.
[46] იქვე, გვ. 242.
[47] იქვე, გვ. 237.
[48] იქვე, გვ. 249.

ვნახოთ, როგორ არის გაგებული ფეტუსის სტატუსი საერთაშორისო კანონმდებლობით. 1989 წლის 20 ნოემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ,,ბავშვის უფლებათა კონვენცია". კონვენციაში დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე კონკრეტული მითითება არ არის, მაგრამ მისი დებულების მიხედვით, ბავშვთა დაცვის საკითხები მოიცავს როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდგომ პერიოდს. კონვენციის პრეამბულაში ნახსენებია ბავშვის დაცვა დაბადებამდე, რამაც გარკვეული გაურკვევლობა გამოიწვია. ,,ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, სჭირდება სპეციალური დაცვა და მზრუნველობა, მათ შორის სათანადო სამართლებრივი დაცვა, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ.[49]

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის (1948წ.) მე-3 მუხლის თანახმად, ,,ყველას აქვს სიცოცხლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება", მაგრამ მასში ფეტუსის სიცოცხლის უფლება არ იგულისხმება. ამ გარემოებას ისიც ადასტურებს, რომ დეკლარაციის მომზადების დროს, უარყოფილ იქნა მე-3 მუხლის ისეთი პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სიცოცხლის უფლებას ჩასახვის მომენტიდან. სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტზე (1996წ.) მუშაობის დროს, ასევე უარყოფილ იქნა იდეა, რომ პაქტს სიცოცხლის უფლება ჩასახვის მომენტიდან დაეცვა.[50]

ფეტუსის სიცოცხლის უფლებას გამოკვეთილად იცავს ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვეენცია (მისი მე-4 მუხლი) და ადამიანისა და ხალხის უფლებათა აფრიკული ქარტია (მისი მე-4 მუხლი). ამ აქტებით სიცოცხლის უფლება დაცულია ჩასახვის მომენტიდან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ინტერამერიკული რეგიონული სისტემის სასამართლო პრაქტიკა არ უზრუნველყოფს ფეტუსის სიცოცხლის აბსოლუტურ დაცვას.[51]

მიუხედავად იმისა, რომ ფეტუსი ჩასახვის მომენტიდანვე არის სულიერი ადამიანი, რაც დამტკიცებულია სამედიცინო თვალსაზრისით, მისი სტატუსი აბორტის დროს მეტად მყიფე და არაერთგვაროვანია მსოფლიოს მასშტაბით. - მსოფლიოს მასშტაბით, ქვეყანათა 98%-ში აბორტი ნებადართულია ქალის სიცოცხლის გადარჩენის მიზნით, 62%-ში მისი ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით, 42%-ში თუ ორსულობა მოჰყვა გაუპატიურებას ან ინცესტს, 40%-ში - თუ ნაყოფი სერიოზული დეფექტის მქონეა, 29%-ში ეკონომიკური და სოციალური მიზეზებით და მხოლოდ 21%-ში

[49] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 255.
[50] იქვე, გვ. 255.
[51] იქვე, გვ. 256.

დედის თხოვნით.[52] ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ ფეტუსის სიცოცხლის დაცვის მცდელობა შეინიშნება მსოფლიო კანონმდებლობით, ეს დაცვა მაინც არასაკმარისია და ზოგჯერ აბორტის მიზეზი შეიძლება ისეთი რამ გახდეს (მაგ. ოჯახს არ სურს კიდევ ერთი ბავშვის ყოლა იმ მიზეზით, რომ მათ შვილებსა და ოჯახის სხვა წევრებს შეიძლება რაიმე დააკლდეთ), რაც ყოვლად დაუშვებელია განვითარებული საზოგადოებისათვის. ამიტომ, კარგი იქნება, თუ მსოფლიო კიდევ ერთხელ გადახედავს თავის მოვალეობებს ჯერარდაბადებული ბავშვების მიმართ და მისცემს მათ სიცოცხლის საშუალებას.

III თავი - სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის

3.1. უკანონო აბორტისათვის პასუხისმგებელი პირები სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

სანამ უკანონო აბორტთან დაკავშირებულ კანონმდებლობას გავეცნობოდეთ, თავდაპირველად განვიხილოთ, თუ ვინ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი პირი უკანონო აბორტის ჩადენაში.

უკანონო აბორტისათვის პასუხისმგებელი პირების წრე დამოკიდებულია იმაზე, თუ კანონმდებელი როგორ აღიქვამს ფეტუსს, რა სამართლებრივი მდგომარეობა აქვს მას კანონმდებლობით განსაზღვრული. მაგ. თუ ფეტუსის სიცოცხლე დედის სიცოცხლის თანასწორად იქნება განხილული, მაშინ უკანონო აბორტის ამსრულებელი იქნება არა მარტო მესამე პირი, რომელიც აკეთებს აბორტს, არამედ თავად დედაც, რომელიც სპობს ნაყოფის სიცოცხლეს.

დღესდღეობით საქართველოს სსკ 133-ე მუხლით დასჯადია უკანონო აბორტი. ქართული კანონმდებლობის მიხედვით ფეტუსი არ წარმოადგენს დამოუკიდებელ ცოცხალ არსებას, არამედ იგი განხილულია, როგორც დედის ორგანიზმის ნაწილი. უკანონო აბორტის ამსრულებელი ქართული კანონმდებლობით არის ყოველი შერაცხადი ფიზიკური პირი 14 წლის ასაკიდან, მათ შორის სამედიცინო პერსონალი. ამ შემთხვევაში კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ ვინ აკეთებდა უკანონო აბორტს - შესაბამისი პროფილის უმაღლესი განათლების მქონე თუ არმქონე პირი.[53] დედას პასუხისმგებლობა არ ეკისრება საკუთარი ორსულობის

[52] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 247-248.

[53] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 249.

შეწყვეტისთვის, ამდენად, იგი არ შეიძლება განხილულ იქნეს დანაშაულის ამსრულებლად საკუთარი ორსულობის შეწყვეტისას, ისე როგორც მკვლელობის ამსრულებლად არ განიხილება თვითმკვლელი, ვინაიდან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი იცავს სხვის სიცოცხლეს და პასუხისმგებლობას აწესებს სხვისი და არა საკუთარი სიცოცხლის მოსპობისათვის.[54] დედა ვერც თანამონაწილეობისთვის დაისჯება იმ საფუძვლით, რომ თანამონაწილის პუსუხისგებისთვის აუცილებელი პირობაა, რომ ხელყოფის ქვეშ მოქცეული სამართლებრივი სიკეთე თანამონაწილესთან მიმართებითაც დაცვით სარგებლობდეს. მსგავსი დაცვით ფეტუსი დედასთან მიმართებაში არ სარგებლობს იმ მოტივით, რომ უკანონო აბორტით დედა საკუთარ ჯანმრთელობას აყენებს ზიანს.[55]

ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტისათვის რუსეთში სასჯელი პირველად XVII საუკუნის მეორე ნახევარში განისაზღვრა და ორსულობის შეწყვეტისათვის იგი თვით ორსულ ქალსაც ეკისრებოდა.[56] თუმცა დღესდღეობით კანონმდებლობა შეცვლილია და დედას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა აღარ ეკისრება.

ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსი უკანონო აბორტისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს მესამე პირსაც და თვით ორსულ ქალსაც. აღნიშნული კოდექსი დასჯადად აცხადებს გაუფრთხილებლობით აბორტსაც. მაგრამ, თუ მუცლის მოშლა შედეგად მოჰყვა გაუფრთხილებლობით მოქმედებას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება არა ორსულ ქალს, არამედ მესამე პირს. ესპანეთის სისხლის სამართლის კოდექსის 157-ე მუხლის თანახმად, ისჯება ის, ვინც რამენაირად აზიანებს ნაყოფს ან აყენებს ტრავმას, რაც იწვევს ნაყოფის ნორმალური განვითარების სერიოზულ შეფერხებას ან მის სერიოზულ ფიზიკურ და ფსიქიკურ ნაკლს.[57]

შვეიცარიის კანონმდებლობის მიხედვით, უკანონო აბორტისაგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად გამოცხადებულია ფეტუსიც და პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც აბორტის განმახორციელებელს, ისე ფეტუსის მატარებელ ქალსაც.[58] ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვითაც, ორსულობის შეწყვეტისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება არა მხოლოდ მესამე პირს, არამედ

---

[54] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ. გვ. 379.

[55] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 258.

[56] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 296.

[57] იქვე, გვ. 296.

[58] იქვე, გვ. 304.

თავად ორსულ ქალსაც. მაგალითად, როცა ორსული ქალი მუცელს მოიშლის მედიკამენტების მიღების შედეგად.[59]

ისეთ ქვეყნებში, სადაც ფეტუსი არ აღიქმება როგორც ცოცხალი ადამიანი და განიხილება დედის ორგანიზმის შემადგენელი ნაწილი, სადავოა საკითხი, უნდა მოხდეს თუ არა დედისათვის პასუხისმგებლობის დაკისრება, როცა იგი ცხოვრების არაჯანსაღი წესით, ალკოჰოლის, ნარკოტიკების, ფსიქოტროპული ან მსგავსი ნივთიერების მიღებით, ზიანს აყენებს ფეტუსს. სამწუხაროდ, არც საქართველოს კანონმდებლობა აწესებს რაიმე ბერკეტს, შეზღუდვას, რათა ფეტუსი დაცულ იქნას დედის მავნე ჩვევებისგან, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ნაყოფს.[60]

უკანონო აბორტის ამსრულებელი, ძირითადად, შეიძლება იყოს მესამე პირი, რომელიც უკანონოდ აკეთებს აბორტს. მხოლოდ ისეთ ქვეყნებში, სადაც ფეტუსი ცოცხალ ადამიანად არის განხილული, პასუხისმგებლობა ეკისრება ასევე დედასაც, რაც მისასალმებელია იქედან გამომდინარე, რომ ფეტუსის სრულყოფილი დაცვისათვის მხოლოდ აბორტის გამკეთებლის პასუხისმგებლობა საკმარისი არ არის.

3.2. პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედით

საქართველომ სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის გზაზე დადგომის შედეგად აღიარა და გამოაცხადა საერთაშორისო სამართლის უზენაესი სტანდარტები, რაზეც 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტის მიერ ქვეყნის ძირითადი კანონის (კონსტიტუციის) მიღებაც მეტყველებს. საქართველოს კონსტიტუციაში ადამიანის უფლებათა დაცვით განხორციელდა ადამიანის შემდგომი არსებობის კეთილდღეობის გარანტირება. ქვეყნის ძირითადმა კანონმა არა მხოლოდ ადამიანის უფლებებისა და თვისუფლებების საყოველთაობა დააკანონა, არამედ ამ უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად ძირითადი სამართლებრივი ნორმებიც განსაზღვრა.[61]

---

[59] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ. გვ. 387.

[60] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 307.

[61] იქვე, გვ. 314.

სიცოცხლის უფლება ადამიანის ერთ-ერთ ძირითად უფლებას წარმოადგენს, რომელიც დაცულია, როგორც საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლით, რომლის მიხედვითაც ,,ადამიანის სიცოცხლე დაცულია". მოცემული მუხლით, მართალია, დაცულია სიცოცხლის უფლება, თუმცა არაფერია ნათქვამი იმასთან დაკავშირებით, თუ როდის იწყება ადამიანის სიცოცხლე. ეს მუხლი მეტად ზოგადია, რაც საშუალებას აძლევს კანონმდებელს კონსტიტუციისგან დამოუკიდებლად განსაზღვროს ადამიანის სიცოცხლის დასაწყისი. როგორც ჩანს, კანონმდებელი ჯერ კიდევ არ არის მზად სრული პასუხისმგებლობა აიღოს ფეტუსის დაცვაზე.

სიცოცხლის უფლება სახელმწიფოს არა მარტო უკრძალავს ადამიანის მოკვლას, არამედ იმავდროულად ავალდებულებს მას, აქტიურად დაიცვას ადამიანის სიცოცხლის უფლება.[62] მოცემულ ქვეთავში შევეცდები წარმოვადგინო, როგორია სისხლისსამართლებრივი პასუხლისმგებლობა უკანონო აბორტისთვის საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით და როგორ ესმის ქართველ კანონმდებელს სიცოცხლის უფლება ფეტუსის სიცოცხლის უფლებასთან მიმართებაში.

საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით დაწესებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის. იმისათვის, რომ გავიგოთ, თუ რა იყო კანონმდებლის მიზანი მოცემული მუხლის შემოღებით, უნდა დავაკვირდეთ მის სისტემურ ადგილს სსკ-ში. იგი მოთვსებულია სსკ-ის 21-ე თავში, რომლის სახელწოდებაა - ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა. აქედან გამოდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიცოცხლის დაცვის ძირითადი ობიექტია ორსული ქალის ჯანმრთელობა და სიცოცხლე.[63] შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფეტუსის სიცოცხლე მოცემული ნორმის დაცვის ობიექტს არ წამოადგენს, ვინაიდან პირი ისჯება არა იმიტომ, რომ მან ფეტუსს მოუსწრაფა სიცოცხლე, არამედ იმიტომ რომ მან დედის სიცოცხლე და ჯანმრთელობა ჩააგდო საფრთხეში. მაგრამ, თუ მთლიანი კოდექსს გავაანალიზებთ, დავინახავთ, რომ მართალია, ფეტუსი მოცემული ნორმის დაცვის ძირითად ობიექტს არ წარმოადგენს, მაგრამ ფეტუსი დაცვის დამატებითი ობიექტია. მაგალითად სსკ 109-ე მუხლით დამამძიმებელ გარემოებად ითვლება წინასწარ შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა. მსგავსი დამამძიმებელი გარემოება სსკ

[62] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 315.

[63] თანაავტორები: ნ. თოდუა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი : წიგნი I, მე-7 გამოცემა, თბ. მერიდიანი, 2019 წ. გვ. 205.

სხვა მუხლებშიც არის.[64] ასევე, ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში წერია, რომ აბორტისწინა გასაუბრების დროს ექიმმა უპირატესობა უნდა მიანიჭოს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას. ეს ფაქტები კი აშკარად მიუთითებს , რომ ფეტუსი სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით დაცვის დამატებით ობიექტს წარმოადგენს.[65]

თუ სსკ-ის 133-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია უკანონო აბორტისთვის, მაშინ საკითხავია, რა შემთხვევაშია დასაშვები აბორტის გაკეთება?

პირველ რიგში უნდა ვთქვათ, რომ საქართველოს კანონმდებლობით, კერძოდ ,,ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, სახელმწიფოს პრიორიტეტია აბორტების შემცირების გზით ქალთა ჯანმრთელობის დაცვა. ორსულობის ნებაყოფლობითი შეწყვეტა ნებადართულია მხოლოდ ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ:

ა) ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება თორმეტ კვირას;

ბ) ორსულს სამედიცონო დაწესებულებაში ჩაუტარდა წინასწარი გასაუბრება და გასაუბრებიდან გასულია 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადა. გამონაკლისი შესაძლებელია დაშვებულ იქნეს ორსულობის მე-12 კვირაზე მიმართვისას, როდესაც კანონმდებლობით განსაზღვრული მოსაფიქრებელი პერიოდის შემდეგ იწურება ლეგალური აბორტის ვადა, რაც განაპირობებს სერვისის მიწოდების შეზღუდვას. ამ შემთხვევაში მოსაფიქრებელი პერიოდი შესაძლებელია შემცირდეს არანაკლებ 3 დღემდე.

კანონი გვეუბნება, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს აბორტების შემცირების გზით ქალთა ჯანმრთელობის დაცვა. მოცემული ფაქტი მისასალმებელია, მაგრამ კანონში ჩაწერილი დებულება, რომ 12 კვირამდე ორსულობის შემთხვევაში, აბორტის გაკეთება ნებადართულია ნებისმიერ შემთხვევაში, ეწინააღმდეგება ნახსენებ პრიორიტეტს. ჩნდება კითხვა: როგორ შეძლებს სახელმწიფო აბორტების შემცირებას თუ 12 კვირამდე ორსულობის პერიოდში აბორტის გაკეთება მხოლოდ სურვილზეა დამოკიდებული? ასევე ჩნდება კითხვა: როგორ შეძლებს სახელმწიფო, კანონის იმავე ნორმით, დაიცვას ქალის ჯანმრთელობა, როდესაც ქალის სურვილს, გაიკეთოს აბორტი მე-12 კვირამდე, წინ ვერ აღუდგება? შესაძლოა ვთქვათ, რომ აბორტის შეზღუდვების გარკვეული წინაპირობების დაწესება თავისთავად მეტყველებს სახელმწიფოს სურვილზე შეამციროს აბორტების რიცხვი, მაგრამ 12 კვირიანი პერიოდი

[64] იხ. ნ. თოდუა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I, მე-7 გამოცემა, თბ. მერიდიანი, 2019 წ. გვ. 35.
[65] იქვე, გვ. 206.

საკმაოდ დიდია, ამ დროს კი სახელმწიფო მოკლებულია ყოველგვარ შესაძლებლობას, დაიცვას ფეტუსი. ჩემი აზრით, უფრო გამართლებული იქნებოდა, ორსულობის 12 კვირამდეც ისეთივე პირობები დაწესებულიყო აბორტისათვის, როგორიც ეს 12-დან 22 კვირამდეა. ამით შესაძლებელი იქნებოდა აბორტების მკვეთრად შემცირება. ასევე, სახელმწიფო შეძლებდა გაეკონტროლებინა უმიზეზო, ჯერ არ დაბადებული ბავშვების აბორტი.

აბორტი ასევე ნებადართულია თორმეტიდან ოცდაორ კვირამდე ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაშიც, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა არსებობს ნაყოფის სიცოცხლის უფლებაში ასეთი ჩარევის სამართლებრივი საფუძველი, კერძოდ, სამედიცინო ან არასამედიცინო ჩვენებები.

სამედიცინო ჩვენებების ჩამონათვალი მოცემულია მოცემულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანებაში ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“. მოცემული ბრძანების მიხედვით, 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება კომისიურად, თითოეული პაციენტის მდგომარეობის ინდივიდუალური განხილვის საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ორსული ქალის დაავადება არ არის მინიშნებული ჩამონათვალში და ორსულობის გაგრძელების შემთხვევაში საფრთხეს უქმნის ქალის სიცოცხლეს, საკითხი ორსულობის შეწყვეტის შესახებ იხილება კომისიურად (პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომით), მაღალი რისკის მქონე სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელ ამბულატორიულ ან შესაბამისი ნებართვის მქონე სტაციონარული ტიპის სამედიცინო დაწესებულებაში - კომისიური წესით. კომისიის შემადგენლობაში უნდა შედიოდნენ: დაწესებულების კლინიკურ საქმიანობაზე პასუხისმგებელი ადმინისტრაციის წარმომადგენელი (კლინიკური დირექტორი), ექიმი მეან-გინეკოლოგი, იურისტი და იმ სპეციალობის ექიმი (შეიძლება იყოს მოწვეული სპეციალისტი), რომლის საქმიანობის კომპეტენციასაც განეკუთვნება ორსულის ავადმყოფობა.

სამედიცინო ჩვენებების დროს აბორტის გაკეთება მისაღებია გამომდინარე იქედან, რომ ამ დროს საფრთხე ექმნება ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ამასთანავე კანონმდებელს პროცედურები მოცემულ შემთხვევაში უფრო მოწესრიგებული აქვს, გადაწყვეტილებას სპეციალური კომისია იღებს და არა ბავშვის მშობლები, რომლებსაც ობიექტურობის შენარჩუნება გაუჭირდებათ.

არასამედიცინო ჩვენებების სამი შემთხვევა გვაქვს:

1. ორსულობა, სასამართლოს მიერ დადგენილი გაუპატიურების შედეგად; უნდა არსებობდეს დედისათვის გადაულახავი ფსიქოლოგიური ბარიერი და საფრთხე ექმნებოდეს ქალის ფსიქიკურ ჯანმრთელობას.[66]
2. თუ ქალის ასაკი არ აღწევს 15 წელს;
3. თუ ქალის ასაკი გადაცილებულია 49 წელს.

მოცემულ შემთხვევაშიც გადაწყვეტილება მიიღება კომისიური წესით, კომისიას აკლდება მხოლოდ ექიმი, რომელიც სამედიცინო შემთხვევის დროს ორსულის ავადმყოფობის სპეციალისტი იყო.

არასამედიცინო ჩვენებებთან დაკავშირებით საჭიროა საფუძვლიანი გამოკვლევების ჩატარება. კომისია აბორტის გაკეთებაზე ნებართვას უნდა გასცემდეს არა მხოლოდ კანონში მითითებული წინაპირობის არსებობისას, არამედ დეტალური გამოკვლევების შემდეგ - თუ რა ზიანი შეიძლება მიადგეს ქალის ორგანიზმს იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა გაგრძელდება (ეს შეეხება არასამედიცინო ჩვენებების მეორე და მესამე შემთხვევას). იმ შემთხვევაში, თუ ორსულობა გაუპატიურების შედეგად დადგა, აბორტის გაკეთება ნებისმიერ შემთვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს გამართლებულად, რადგან როგორც დედა, ისე ბავშვიც დანაშაულის მსხვერპლია და ამ შემთვევაში ყველაზე მეტად, სწორედ ჯარ არ დაბადებული ბავშვი ზიანდება. მსგავს შემთხვევებში სასურველი იქნება, თუ ფსიქოლოგთა ჯგუფი მიიღებს გადაწყვეტილებას. ფსიქოლოგთა ჯგუფმა უნდა შეაფასოს დედის ფსიქოლოგიური ჯანმრთლობა. განსაზღვროს რამდენად არის საფრთხის შემცველი დედის ფსიქოლოგიური ჯანმრთელობისათვის ბავშვის დაბადება. უნდა შეფასდეს დედის სამართლებრივი სიკეთე, ასევე ბავშვის დაბადების უფლება და შედეგად მიღბულ იქნეს შესაბამისი გადაწყვეტილება. კანონი ითვალისწინებს იმ შემთხვევასაც, თუ არსებობს არასამედიცინო ხასიათის ჩვენებები ორსულობის შეწყვეტისათვის, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ბრძანებაში. კონკრეტულად რა შეიძლება იყოს ასეთი შემთხვევა, კანონში მითითებული არ არის, თუმცა, შეგვიძლია ასეთად მივიჩნიოთ ევგენიკური ჩვენება. ევგენიკურია ჩვენება, როდესაც არსებობს ავადმყოფი, ფიზიკური ან გონებრივი ნაკლის მქონე ბავშვის დაბადების საშიშროება. მოცემულ შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის საკითხს განიხილავს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძნებით შექმნილი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკოორდინაციო საბჭო ინდივიდუალური წესით.

[66] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 272.

რაც შეეხება 22 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობას, ამ შემთხვევაში, ორსულობის შეწყვეტა ხდება მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში, კონკრეტული წინაპირობები კანონით განსაზღვრული არ არის, თუმცა, ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე" მინისტრის ბრძანებაში ნათქვამია, რომ ამ შემთხვევაში ორსულობის შეწყვეტის შესახებ საკითხი იხილება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ბრძანებით შექმნილი დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საკოორდინაციო საბჭოს მიერ პაციენტისადმი ინდივიდუალური მიდგომით.

უკანონო აბორტთან დაკავშირებით არსებულ ქართულ კანონმდებლობაში მრავალი პრობლემა იკვეთება. ჩემი აზრით, გაუმართლებელია დედისათვის სრული თავისუფლების მიცემა აბორტის გაკეთებისათვის ორსულობის პირველი თორმეტი კვირის განმავლობაში. გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

1. ორსულობის მეთორმეტე კვირას ბავშვი უკვე ფაქტიურად ჩამოყალიბებულია და მხოლოდ ზომით ჩამორჩება ახალშობილს. ამ დროს ბავშვის თითები უკვე გამოყოფილია ერთმანეთისგან, თმები და ფრჩხილები იწყებს ზრდას, ხოლო სასქესო ორგანოებმა განსხვავებული ფორმები მიიღო. თითები იწყებს მოხრას და წოვის რეფლექსი ვითარდება, ასევე ტვინის ნერვული უჯრედები სწრაფად მრავლდება, სახე იღებს ადამიანის გამომეტყველებას. ბავშვის სიგრძე 7-9 სმ-ია ხოლო წონა 8-10 გრამი.[67] ბავშვის სქესის დადგენა უკვე პრობლემას არ წარმოადგენს, ამ ფაქტმა კი შესაძლოა საბედისწეროდ იმოქმედოს ბავშვის სიცოცხლეზე, რადგან საქართველოსა და სხვა მრავალ ქვეყანაში ხშირად უპირატესობას ბიჭის დაბადებას უფრო ანიჭებენ, ვიდრე გოგონასას და არსებობს სელექციური აბორტების საფრთხე.
2. ბავშვის მშობლებს, ხშირ შემთხვევაში წარმოდგენაც არ აქვთ, რომ მუცლად მყოფი ბავშვი ცოცხალი არსებაა და მასაც ისევე სტკივა, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. მიუხედავად იმისა, ექიმს ევალება აბორტის უარყოფითი მხარეები აუხსნას და მისი გაკეთება გადააფიქრებინოს მშობლებს, დიდია იმის საფრთხე, რომ მოსაფიქრებელმა 5 დღიანმა პერიოდმა უშედეგოდ ჩაიაროს, ვინაიდან ამა თუ იმ მიზეზით ბავშვის მშობლებმა უკვე მიიღეს გადაწყვეტილება აბორტის გასაკეთებლად. ამასთან ქართული სასამართლო პრაქტიკაში არსებული გადაწყვეტილებებიდან

[67] ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, 24-25 მაისი, ნაწილი 2, ქუთაისი, 2013 წ, გვ. 58.

გამომდინარე(რომლებსაც შემდეგ თავებში შევეხები), ხშირ შემთხვევაში სსკ 133-ე მუხლის ამსრულებლები სწორედ ის ექიმები არიან, რომლებსაც ევალებოდათ დედისთვის კონსულტაციის გაწევა და მათთვის აბორტის უარყოფითი მხარეების ჩვენება.

3. ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის არსებობის გარეშე აბორტის გაკეთება დაუშვებელია, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ მუცლად მყოფი ბავშვი ჩვეულებრივი ადამიანია.

პრობლემას წარმოადგენს ის ფაქტიც, რომ სსკ 133-ე მუხლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული პირი, რომელიც უკანონო აბორტს აკეთებს, გარდა დედისა, რომელსაც მთავარი პასუხისმგებლობა ეკისრება საკუთარი შვილის სიცოცხლის დაცვაზე.

როგორც კანონმდებლობის ანალიზიდან შეგვიძლია დავინახოთ, საქართველოს კანონმდებლობა ფეტუსის სიცოცხლეს არ აღიარებს. ფეტუსი საქართველოს სსკ 133-ე მუხლის დაცვის ძირითად ობიექტს არ წამოადგენს. ეს ჩანს იქედან, რომ დედა არ შეიძლება იყოს სსკ 133-ე მუხლის ამსრულებელი. ამასთან, ექიმს პასუხისმგებლობა ეკისრება არა ფეტუსის მოკვდინებისათვის, არამედ იმისათვის, რომ მან დაარღვია აბორტის ჩატარებს წესი, რითაც საფრთხე შეუქმნა დედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. მისასალმებელია, რომ წლების განმავლობაში მცირე ძვრები შეინიშნება ფეტუსის სიცოცხლის დაცვის კუთხით, თუმცა ეს არასაკმარისია. მოცემული კანონმდებლობა არ შეესაბამება 21-ე საუკუნის გამოწვევებს სამედიცინო სფეროში. უკვე დამტკიცებულია, რომ ფეტუსი ცოცხალი ადამიანია ჩასახვის მომენტიდან. ამიტომ სასურველია, თუ მოხდება დღევანდელი კანონმდებლობის შესაბამისობა თანამედროვე მიღწევებსა და გამოწვევებთან, რომ არ მოხდეს ჯერ არ დაბადებული სიცოცხლის გაუაზრებლად განადგურება.

3.3. უკანონო აბორტის დამამძიმებელი გარემოებები

მნიშვნელოვანია განვიხილოთ ასევე უკანონო აბორტის დამამძიმებელი გარემოებებიც.

თავდაპირველად ისტორიას გადავხედოთ: დავით ბატონიშვილის სამართალი დედაკაცი მუცლის პირველად მოშლისთვის ეკლესიური კანონით განკანონებას ითვალისწინებდა, ხოლო განმეორებით მისი ჩადენა მიჩნეულ იყო პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად და იგი გამათრახებით

ისჯებოდა.[68] ვახტანგ VI-ის სამართალში მუცლის მოწყვეტა გვხვდება, როგორც დამამძიმებელი გარემოება, თუ იგი შედეგად მოჰყვებოდა თავდასხმას და დამნაშავე ისჯებოდა ,,სისხლის დაურვებით''.[69] ,,სისხლი'' წარმოადგენდა სასჯელის სახეს ძველ საქართველოში და ნიშნავდა ქონებრივ საზღაურს სისხლის სამართლის დანაშაულისათვის, ხოლო ასეთი საზღაურის გადახდას „სისხლის დაურვება“ ეწოდებოდა.[70]

საქართველოს 1922 და 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსები უკანონო აბორტის დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებდნენ მუცლის მოშლას იძულებით.[71] ეს ძალიან კარგი ნორმაა, ვინაიდან დღესდღეობით შესაძლოა მრავლად იყოს შემთხვევა, როდესაც ქალს არ სურს აბორტის გაკეთება, მაგრამ მეუღლე ან სხვა ოჯახის წევრები აიძულებდნენ მას პირდაპირ თუ ირიბად, რომ აბორტი გაიკეთოს. საქართველოს 1960 წლის კოდექსი უკანონო აბორტის დამამძიმებელ გარემოებად ასევე ითვალისწინებდა აბორტის გაკეთებას იმ პირის მიერ, რომელსაც არა აქვს უმაღლესი სამედიცინო განათლება და აბორტის გაკეთებას ხელობის სახით.[72] მოცემული დამამძიმებელი გარემოებაც ასევე მეტად საინტერესოა, ვინაიდან, როდესაც აბორტს აკეთებს შესაბამისი განათლების არმქონე პირი, ამ დროს ქალის ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების საფრთხე გაცილებით მაღალია, ვიდრე მაშინ, როცა აბორტს შესაბამისი სპეციალობის ექიმი აკეთებს.

რაც შეეხება თანამედროვე ქართულ კანონმდებლობას, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი ითვალისწინებს სხვადასხვა დამამძიმებელ გარემოებებს.

კერძოდ, მეორე ნაწილის მიხედვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მძიმდება იმ შემთხვევაში თუ უკანონო აბორტი განხორციელდა იმ პირის მიერ, ვინც უკვე იყო მსჯავრდებული სსკ 133 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. თუ ნორმას დავაკვირდებით დავინახავთ, რომ დანაშაულის სსკ 133-ე მუხლის მეორე ნაწილით კვალიფიკაციისათვის ნასამართლეობას მნიშვნელობა არ ენიჭება. კანონმდებელმა სიტყვა ,,მსჯავრდებულით“ პასუხისმგებლობა დააკისრა არა მარტო იმ პირს, ვისაც 133-ე მუხლით ჩადენილი დანაშაულისათვის

---

[68] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ. გვ. 368.

[69] იქვე, გვ. 367.

[70] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%98_(%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98), 29.09.2012 წ.

[71] თ. ცქიტიშვილი, ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დელიქტები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014 წ. გვ. 382.

[72] იქვე, გვ. 384.

ნასამართლეობა გაქარწყლებული არ აქვს, არამედ მასაც, ვისი ნასამართელობაც გაქარწყლებულია. მთავარია, რომ პირი ერთხელ უკვე იყოს მსჯავრდებული მოცემული დანაშაულის ჩადენისათვის. შეიძლება გაგვიჩნდეს კითხვა სამართლიანია თუ არა კანონმდებლის მხრიდან პასუხისმგებლობის დაკისრება იმ პირის მიმართ, ვინც, მართალია ჩაიდინა სსკ 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული, მაგრამ გაქარწყლებული აქვს ნასამართლეობა. ნორმის ამ დანაწესით შეგვიძლია დავინახოთ კანონმდებლის სურვილი, რომ განსაკუთრებულად დაიცვას დედა აბორტის დროს. თუმცა, ვინაიდან სსკ-ის 133-ე მუხლის დაცვის ძირითად ობიექტს წარმოადგენს მხოლოდ დედის სიცოცხლე და ჯანმრთელობა და არა ფეტუსი, ამგვარი დანაწესის ნორმაში ჩასმა არ არის გამართლებული. დადებითი მხარე ის არის, რომ სანამ სსკ 133-ე მუხლით მსჯავრდებული პირი გადაწყვეტს დანაშაულის განმეორებით ჩადენას, ჯერ დაფიქრდება უღირს თუ არა პასუხისმგებლობის დამძიმება. ეს კი ხელს შეუწყობს მცირედით მაინც ფეტუსის სიცოცხლის გადარჩენას.

მეორე ნაწილით პასუხისმგებლობა მძიმდება იმ შემთხვევაშიც, თუ უკანონო აბორტს მოჰყვა შვილოსნობის სამუდამო დაკარგვა ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგი შეიძლება ,,გამოიხატოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში, ქრონიკულ ავადმყოფობაში და ა.შ. პასუხისმგებლობა მეორე ნაწილით არ დამძიმდება, თუ უკანონო აბორტს შედეგად მოჰყვა ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მსუბუქი დაზიანება. ნორმის მოთხოვნით, პასუხისმგებლობის დამძიმებისათვის აუცილებელია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანების არსებობა, რომელიც უნდა დასტურდებოდეს ექსპერტიზის დასკვნით.

სსკ 133-ე მუხლის მესამე ნაწილით კიდევ უფრო მძიმდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის. ამ შემთხვევაში უკანონო აბორტს შედეგად უნდა მოჰყვეს სიცოცხლის მოსპობა.

133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა მატერიალურია, აქედან გამომდინარე, საჭიროა მიზეზობრივი კავშირის დადგენა უკანონო აბორტსა და დამდგარ შედეგს (შვილოსნობის მოშლა, სხვა მძიმე შედეგი, ქალის სიკვდილი) შორის. აქ საქმე გვაქვს თანმდევი შედეგით კვალიფიცირებულ დელიქტთან, რომლის კვალიფიკაციის წესი განსაზღვრულია სსკ მე-11 მუხლში. მაშასადამე, 133-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის სუბიექტური მხარე გაუფრთხილებლობას გულისხმობს თანმდევი შედეგის მიმართ. პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვის დადგენის შემთხვევაში დამნაშავის მოქმედება

უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც სიცოცხლის ან ჯანმრთელობის საწინააღმდეგო დანაშაული და არა როგორც უკანონო აბორტი.[73]

3.4. პასუხისმგებლობა უკანონო აბორტისთვის უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

საქართველოში აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხილვასთან ერთად, ამავდროულად სასურველია, ვიცოდეთ თუ რა მდგომარეობაა მსოფლიოში ამ კუთხით.

მსოფლიო ქვეყნების გამოცდილების ანალიზის საფუძველზე ირკვევა, რომ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა საერთოდ კრძალავს ნაყოფის სიცოცხლის ძირითად უფლებაში ჩარევას და შესაბამისად აკრძალულია აბორტის ნებისმიერი ფორმა. ასეთი მსოფლიოში სულ 6 ქვეყანაა: მალტა, ვატიკანი, დომინიკის რესპუბლიკა, ელ-სალვადორი, ნიკარაგუა და ჩილე. ქვეყნების უმეტესი ნაწილი კი გარკვეულ შემთხვევებში ითვალისწინებს აბორტის გაკეთების შესძლებლობას.[74]

ნაყოფის სიცოცხლის უფლებაში ჩარევის სამართლებრივი საფუძვლები ძირითადად რამდენიმე ჯგუფად შეიძლება დაიყოს: სამედიცინო, სოციალური, ეთიკური და ევგენური. ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა შეგვხვდეს მათი შერეული ფორმებიც.[75]

მსოფლიო ქვეყნები დედის სურვილით ნაყოფის სიცოცხლის მოსპობის პერიოდულობის მიხედვით ასევე შეიძლება დავაჯგუფოთ შემდეგნაირად:[76]

1. როდესაც აბორტის გაკეთება აკრძალულია ჩანასახის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე, მიუხედავად დედის სურვილისა.
2. როდესაც აბორტის გაკეთება აკრძალულია დედის სურვილით ჩანასახის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე, გარდა გარკვეული ჩვენებების არსებობისა. ამ შემთხვევაში აბორტი უკანონოდ ჩაითვლება ნეისმიერ დროს, თუ არ არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საფუძველი. მაგალითად: კვიპროსი, კოლუმბია, ჩადი, კამერუნი.
3. როდესაც აბორტი კანონიერად ითვლება დედის სურვილის შემთხვევაში ბავშვის განვითარების თავდაპირველ სტადიაზე, ხოლო

[73] თანაავტორები: ნ. თოდუა, მ. ლეკვეიშვილი, გ. მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი: წიგნი I, მე-7 გამოცემა, თბილისი, მერიდიანი, 2019 წ. გვ. 207-208.

[74] ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი , საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, 24-25 მაისი, ნაწილი 2, ქუთაისი, 2013 წ, გვ. 55.

[75] იქვე, გვ. 55.

[76] იქვე, გ. 57.

შემდგომ პერიოდში ბავშვის სიცოცხლის შეწყვეტა შეიძლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი გარკვეული ჩვენებების არსებობისას. ეს მოდელი ძირითადად ევროპის კონტინენტზე და დსთ-ის ქვეყნებშია გავრცელებული.[77]

4. როდესაც აბორტი კანონიერად ითვლება დედის სურვილის შემთხვევაში ბავშვის განვითარების ნებისმიერ სტადიაზე და, შესაბამისად, მისი სიცოცხლის მოსასპობად არც რაიმე სახის ჩვენების არსებობაა დადგენილი, მაგ. აშშ-ში, კანადასა და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.[78]

ახლა უფრო კონკრეტულად გავეცნოთ სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობას. მაგრამ სანამ ევროპის კონტინენტზე გადავიდოდეთ, ვნახოთ, რა მდგომარეობაა მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ,,ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში აბორტი აკრძალულია, გამონაკლისია კუბა. ლათინური ამერიკა - ესაა მსოფლიოში ყველაზე დიდი კათოლიკური რეგიონი, რაც განაპირობებს აბორტის აკრძალვას.[79]

ბრაზილიაში ყოველწლიურად 1500000 უკანონო აბორტს აქვს ადგილი. განსაკუთრებით მკაცრად ისჯება უკანონო აბორტი ჩილეს რესპუბლიკაში. აქ ქალებს ხშირ შემთხვევაში პატიმრობა ემუქრებათ. აფრიკის ძალიან ცოტა რესპუბლიკაშია აბორტი ნებადართული. აქ ყოველი 100000 აბორტის შემთხვევიდან 680 სიკვდილით მთავრდება. ამის მიზეზად ცხოვრების ცუდი პირობები სახელდება. ამ მხრივ, ყველაზე ცუდი მდგომარეობაა ეთიოპიასა და ნიგერიაში. ყველაზე მკაცრად აბორტი აკრძალულია ნეპალში. აქ აბორტი იკრძალება მაშინაც, როცა დედის სიცოცხლეს ემუქრება საფრთხე. აკრძალვის სიმკაცრეზე აქაც რელიგიური ფაქტორი მოქმედებს. სასჯელი ემუქრება როგორც ქალს, ასევე ექიმსაც. მიუხედავად ამისა, აბორტი მაინც კეთდება და ნეპალელ ქალთა 2/3 ციხეში იხდის სასჯელს.[80]

კანადაში აბორტი ნებადართულია, თუმცა მოწესრიგებული არ არის ზუსტი ვადები, პროცედურები. ამიტომ, ხშირად მას მძიმე გართულებები მოჰყვება თან. ამერიკის შეერთებულ შტატებში აბორტი 1973 წლიდანაა ნებადართული. აქ ყოველწლიურად 1300000 ქალი მიმართავს აბორტს.[81]

---

[77] ვ. გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი , საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, 24-25 მაისი, ნაწილი 2, ქუთაისი, 2013წ, გვ. 57.

[78] იქვე, გვ. 58.

[79] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 287.

[80] იქვე, გვ. 287.

[81] იქვე, გვ. 287.

ისრაელის სისხლის სამართლის კანონის 313-ე მუხლი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს ორსულობის შეწყვეტისათვის, რითაც იცავს არა ნაყოფს, არამედ ორსული ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. შესაბამისად, ამ მუხლით ორსულობის შეწყვეტისათვის, პასუხისმგებლობა ეკისრება არა ორსულ ქალს, არამედ იმას, ვინც ორსულ ქალს მუცელს მოუშლის. ამდენად, ისრაელის კანონმდებლობა ამ საკითხში ქართული კანონმდებლობის ანალოგიურად წყვეტს საკითხს.[82]

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მეორე მუხლის მიხედვით ,,ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება კანონით არის დაცული.“ ,,კითხვაზე - იცავს თუ არა ევროპული კონვენციის მეორე მუხლი ფეტუსის სიცოცხლის უფლებას - ჯერ კიდევ არ არსებობს ცხადი პასუხი. ევროპული სასამართლო თავს იკავებს იმის აღიარებისაგან, რომ კონვენციის მეორე მუხლი ფეტუსის, ან დაუბადებელი ბავშვის სიცოცხლესაც იცავს, მაგრამ იმავდროულად, არც კატეგორიულად გამორიცხავს ამას. იგი ცდილობს, ცალკეული კონკრეტული საქმეები, რომლებიც ამ პრობლემას უკავშირდება, ისე გადაწყვიტოს, რომ გვერდი აუაროს მასზე პრინციპული პასუხის გაცემას.[83] ევროპული სასამართლოს მსგავსი ტენდენციის გათვალისწინებით ევროპის ქვეყნებში აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობა მრავალმხრივად ვითარდება.

2011 წლის 21 ოქტომბერს რუსეთის დუმამ მიიღო კანონი, რომელიც დასჯადად აცხადებს აბორტის გაკეთებას ორსულობის 12 კვირის შემდეგ. კანონი ითვალისწინებს გამონაკლისს და სოციალური მაჩვენებლების გათვალისწინებით, ღარიბი ოჯახების წარმომადგენლებისთვის აბორტის 12 კვირიანი ზღვარი 22 კვირამდეა გაზრდილი, ხოლო სამედიცინო ჩვენებების მიხედვით, როცა ორსულობის გაგრძელება დედის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, აბორტი ნებადართულია, მიუხედავად ფეტუსის ასაკისა.[84]

შვედეთში აბორტი 1973 წლიდან ნებადართულია ორსულობის მე-18 კვირამდე.[85]

ავსტრიის სისხლის სამართლის კოდექსის 96-ე პარაგრაფის მიხედვით, ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება ის, ვინც წყვეტს ორსულობას

---

[82] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 306.

[83] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (სტატიათა კრებული), რედ. კონსტანტინე კორკელია, თებერვალი, 2007, გამომცემელი gtz, ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, გვ. 60.

[84] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 297.

[85] იქვე, გვ. 287.

ორსული ქალის თანხმობით. პსუხისმგებლობა მკაცრდება იმ შემთხვევაში, თუ იგი ხორციელდება ხელობის სახით ან ექიმის მიერ ან თუ ორსულობის შეწყვეტას შედეგად მოყვა დაზარელებულის სიკვდილი.[86]

ნიდერლანდებში აბორტის დეკრიმინალიზაცია 1984 წელს მოხდა. მოქმედი კანონმდებლობით აბორტი ნებადართულია ორსულობის 24 კვირის ჩათვლით, თუმცა ექიმთა უმრავლესობა აბორტის გაკეთებაზე თანხმდება, თუ იგი მოხდება ჩასახვიდან არაუგვიანეს 21 კვირისა. ქალი ვალდებულია ექიმთან პირველი ვიზიტიდან აბორტის გაკეთებამდე 5 დღე მოიცადოს. აღნიშნული დათქმა ფეტუსის ინტერესებს ემსახურება, ვინდაიდან არსებობს შესაძლებლობა, რომ ექიმთან კონსულტაციის შემდეგ, ქალმა აბორტის გაკეთება გადაიფიქროს.[87]

ჩეხეთის კონსტიტუციაში, ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების თავში, მე-6 მუხლის მიხედვით: ,,ყველას აქვს უფლება სიცოცხლეზე. ადამიანური სიცოცხლე დაცულია დაბადებამდე". ჩეხეთში აბორტი 1957 წლიდან არის ლეგალიზებული. 1986 წელს კანონმა აბორტის შესახებ ლიბერალიზაცია განიცადა. ჩეხეთის კანონმდებლობის თანახმად, აბორტი ნებადართულია ორსულობის 12 კვირამდე. სამედიცინო ჩვენებების არსებობის შემთხვევაში, აბორტი დასაშვებია ორსულობის 24 კვირამდე. აბორტის გაკეთება შესაძლებელია ორსულობის ნებისმიერ ეტაპზე, თუკი სახეზეა სამედიცინო ჩვენება, რომლის თანახმადაც, ფეტუსს ჯანმრთელობის მნიშვნელოვანი პრობლემები აქვს.[88]

იტალიაში აბორტი 1978 წლის მაისის თვიდან არის დეკრიმინირებული. ქალს უფლება აქვს აბორტზე ორსულობის პირველი 90 დღის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქალი უფლებამოსილია მიმართოს აბორტს ჯანმრთელობის, ეკონომიკური ან სოციალური მიზეზების გამო. იტალიაში აბორტი უფასოდ ხორციელდება სახელმწიფო საავადმყოფიებში და სახელმწიფოს მიერ ავტორიზებულ კერძო კლინიკებში. კანონი უფლებას იძლევა, ორსულობა შეწყდეს მეორე ტრიმესტრის განმავლობაშიც, თუკი ორსულობა ქალის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს, ასევე თუკი დასტურდება, რომ ორსულობის გაგრძელებამ შესაძლოა ქალისათვის უარყოფითი ფსიქოლოგიური და ფიზიკური შედეგები გამოიწვიოს.[89]

2002 წლის 3 ივნისიდან შვეიცარიის სსკ აბორტს ლეგალურად აცხადებს ორსულობის პირველი ტრიმესტრის განმავლობაში. უკანონო აბორტის

---

[86] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 300-301.
[87] იქვე, გვ. 302.
[88] იქვე, გვ. 303.
[89] იქვე, გვ. 304.

ობიექტად ფეტუსს აცხადებს და პასუხისმგებლობას აკისრებს როგორც აბორტის განმახორციელებელს, ისე ფეტუსის მატარებელ ქალსაც.[90]

ესპანეთში სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულადაა გამოცხადებული მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ფეტუსის დაზიანება ან ორსულობის მოშლა უხეში დაუდევრობით. თურქეთში სისხლის სამართლის კოდექსით გამკაცრებულია პასუხისმგებლობა სხეულის დაზიანებისათვის, თუ დაზარალებული ორსული ქალია და დაზიანებამ გამოიწვია ორსულობის შეწყვეტა.[91]

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში უკანონო აბორტი გათვალისწინებულია სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში და ქართულის სისხლის სამართლის კოდექსისგან განსხვავებით, უკანონო აბორტის ხელყოფის ობიექტად აღიარებს არა ორსული ქალის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, არამედ ნაყოფის სიცოცხლეს.[92]

ირლანდიაში, კონსტიტუციაში 1983 წლის რეფერენდუმის გზით შეტანილი შესწორების თანახმად, მე-40 მუხლმა დაუბადებელი ბავშვის უფლება სიცოცხლეზე დედის სიცოცხლის უფლების თანასწორად გამოაცხადა.[93] ირლანდიაში აბორტი აკრძალული იყო, გარდა ერთი გამონაკლისი შემთხვევისა, როცა ორსულობა საფრთხეს უქმნიდა ქალის სიცოცხლეს, მაგრამ 2018 წლის 25 მაისის რეფერენდუმით მოქალაქეების 66.4 პროცენტმა მხარი კანონმდებლობის შემსუბუქებას დაუჭირა, წინააღმდეგი კი 33,6 პროცენტი იყო. ახალი კანონის მიხედვით, აბორტის გაკეთება ქალებს ორსულობის პირველი 12 კვირის და განსაკუთრებულ შემთხვევაში 24 კვირის განმავლობაშიც შეეძლებათ.[94]

როგორც ვხედავთ, ევროპის ქვეყნებში აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობა ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდება, რომ აღარაფერი ვთქვათ მსოფლიოს მასშტაბით. რაც უდიდეს პრობლემას ქმნის ფეტუსის სიცოცხლის დაცვასთან მიმართებაში.

---

[90] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედ. ნ. თოდუა, თბ. 2019 წ. გვ. 304.

[91] ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (სტატიათა კრებული) რედ. კონსტანტინე კორკელია, თებერვალი, 2007, გამომცემელი gtz, ე. გოცირიძე სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით, გვ. 63.

[92] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 217.

[93] იქვე, გვ. 227.

[94] https://1tv.ge/news/irlandiashi-abortis-liberalizaciis-akhali-kanoni-amoqmeddeba/ 27.05.2018 წ.

3.5. სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

უკანონო აბორტის დროს, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის განხილვის დროს მნიშვნელოვანია აბორტთან დაკავშირებული კანონმდებლობის განხილვა, თუმცა, ამავე დროს, არანაკლებ მნიშვნელოვანია სასამართლო პრაქტიკის ანალიზი.

საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში უკანონო აბორტზე ბოლო პერიოდში ორი განაჩენი არსებობს. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 26 თებერვლის განაჩენი (საქმე N1/3676-09).[95] და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 08 ივლისის განაჩენი (საქმე N1/2308-11).[96] უახლესი განაჩენების მოძიებისათვის მივმართე თბილისის საქალაქო სასამართლოს, თუმცა, სამწუხაროდ, როგორც აღმოჩნდა, 2011 წლის შემდეგ ახალი განაჩენი სსკ 133-ე მუხლთან დაკავშირებით აღარ გამოსულა.

2010 წლის 26 თებერვალს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ ღია სასამართლო სხდომაზე განიხილა სისხლის სამართლის საქმე ი.თ.-ს მიმართ. მას ბრალი ედებოდა უკანონო აბორტის ჩადენის მცდელობაში, რამაც შვილოსნობის სამუდამო მოშლა გამოიწვია. ი.თ.-ს მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიხატა შემდეგში: იგი მუშაობდა ამბულატორიულ დაწესებულება ,,თბილისის N1 ქალთა კონსულტაციის“ ცენტრში მეან-გინეკოლოგად. 2006 წლის 11 მაისს გინეკოლოგიური კონსულტაციის მისაღებად მასთან სამსახურში სამი თვის (13 კვირა) ორსული ა. გ. მივიდა. ამ უკანასკნელის სურვილი აბორტის გაკეთება იყო. ი.თ.-მ კარგად იცოდა, რომ ამბოლატორიულ პირობებში ნებადართული იყო მხოლოდ 12 კვირამდე ორსულობის დროს აბორტის ჩატარება და 13 კვირის ასაკში აბორტის ჩატარება დასაშვები იყო მხოლოდ სპეციალური ჩვენებების დროს, დადგენილი წესით შექმნილი სპეციალური კომისიის ნებართვით. მიუხედავად ამისა, ი.თ.-მ იმავე დღეს, სამდღიანი მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე, ა.გ.-ს აბორტი გაუკეთა, რის თაობაზეც სამედიცინო დოკუმენტაციაც შეავსო, რასაც დაურთო ყალბი ცნობა, თითქოსდა ა.გ. 5 კვირის ორსული იყო. მიუხედავად იმისა, რომ ი.თ.-ს პროფესიულ ვალდებულებაში პაციენტის უწყვეტი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა შეიოდა, მან ა.გ. აბორტის გაკეთების შემდეგ სახლში გაწერა. აბორტის გაკეთებიდან მესამე დღეს, ა.გ. გართულებული

[95] თ. სადრაძე , ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, უნივერსიტეტის გამომცემლობა თბ., 2012, გვ. 244.
[96] იქვე, გვ. 244.

მდგომარეობით ჰოსპიტალში მოათავსეს. მას გამოკვლევების ჩატარების შემდეგ, ასეთი დიაგნოზი დაუსვეს - საშვილოსნოს წინა კედლის პერფორაცია, ადგილობრივი პერიტონიტი, რომელიც გამოწვეული იყო მინი-აბორტის ოპერაციის დროს საშვილოსნოს პერფორაციით, რის გამოც 2006 წლის 13 მაისს ოპერაცია ჩაუტარდა: საშვილოსნოს სუპრავაგინალური ამპუტაცია დანამატების გარეშე, რამაც გამოიწვია ა.გ.-ს შვილოსნობის უნარის მუდმივი დაკარგვა. ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, დაზარალებულისათვის მიყენებული ჯანმრთელობის დაზიანება, მძიმე ხარისხის დაზიანებას მიეკუთვნებოდა. ბრალდებულმა სასამართლოს ჩვენება მისცა და ჩადენილი დანაშაული აღიარა. მასთან პროკურატურამ საპროცესო შეთანხმება გააფორმა. ი.თ. სასამართლომ დამნაშავედ სცნო საქართველოს სსკ-ის 19,133-ე მუხლის მე-2 ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში, მხარეებს შორის საპროცესო შეთანხმების გაფორმების შედეგად, ი.თ.-ს სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 2 (ორი) წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-64-ე მუხლების გამოყენებით ჩაეთვალა პირობით, იმავე გამოსაცდელის ვადით. დამატებითი სასჯელის სახით მას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 5000 (ხუთი ათასი) ლარის გადახდა დაეკისრა.[97]

სასამართლოს გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმებით კვალიფიკაციის ნაწილში. სასამართლომ ი.თ.-ს ქმედება დააკვალიფიცირა საქართველოს სსკ-ის 19,133-ე მუხლის მე-2 ნაწილით, რაც გულისხმობს უკანონო აბორტის მცდელობას დამამძიმებელ გარემოებებში. მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს დამთავრებული უკანონო აბორტი. ვინაიდან ნაყოფი სრულად გამოიდევნა დედის ორგანიზმიდან და სახეზე დადგა მძიმე შედეგიც, რაც გამოიხატა ა.გ.-ს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესებაში და შვილოსნობის უნარის სამუდამოდ დაკარგვაში.

როგორც ჩანს, სასამართლო იმდენად იყო გადართული საპროცესო შეთანხმებაზე, რომ უგულებელყო ნორმის მოთხოვნები. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ ი.თ.-მ განზრახ, არასწორად შეავსო სამედიცინო დოკუმენტაცია და შეფასების გარეშე დატოვა მოცემული ქმედება, რითაც ი.თ. გადაურჩა სსკ-ის 362 მუხლით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.

მეორე მაგალითი: 2011 წლის 08 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანა ბრალდებულ ნ.გ.-ს მიმართ, რომელსაც ბრალი

[97] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 251-252.

საქართველოს სსკ-ის 133 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ედებოდა - უკანონო აბორტი.

2011 წლის 12 მარტს, 39-40 კვირის ორსული ნ.ს. გინეკოლოგიური კონსულტაციის მისაღებად ექიმ-მეან-გინეკოლოგ ნ.გ.-სთან სახლში მივიდა, რომლის შემდეგ მან აბორტის გაკეთება გადაწყვიტა. ამ უკანასკნელს სახლში არ გააჩნდა არანაირი პირობა პაციენტთა მისაღებად, კერძოდ, არ ჰქონდა ტექნიკური საშუალებები, სახლში იყო უკიდურესი სიბინძურე, მედიკამენტები მიმოფანტული იყო უწესრიგოდ, ხოლო სამედიცინო ხელსაწყოები - არასტერილიზებული. გარდა ამისა, ნ.გ.-ს არ გააჩნდა სათანადო ლიცენზია პაციენტის მომსახურების შესახებ და მისი საქმიანობა არ ჯდებოდა არანაირ სამართლებრივ ჩარჩოში. მიუხედავად აღნიშნულისა, ნ.გ.-მ ორსულ ქალს უკანონო აბორტი გაუკეთა. აბორტის კეთების დროს ნ.გ.-მ ნაყოფს მოჰკვეთა მარჯვენა წვივი მუხლის სახსრის დონეზე, ასევე მოჰკვეთა მარცხენა ტერფის მესამე, მოთხე, მეხუთე თითების საფრჩხილე ფალანგები. აბორტის შემდეგ, ფეტუსის ნარჩენები ნ.გ.-მ უნიტაზში ჩაყარა და ჩარეცხა. ჩატარებული უკანონო აბორტის შედეგად ნ.ს. გართულებული ჯანმრთელობის მდგომარეობით საავადმყოფოში მოხვდა, სადაც სამედიცინო ჩარევის შედეგად, მისი ორგანიზმიდან გამოიდევნა ნ.გ.-ს უკანონო ქმედებით უკვე გარდაცვლილი მდედრობითი სქესის ნაყოფი. საქმეზე ჩატარებულმა სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ფეტუსს შემდეგი დაზიანება აღენიშნებოდა - მარჯვენა წვივის ამპუტაცია/მოკვეთა მუხლის სახსრის დონეზე, კანის ზერელე სწორკიდეებიანი ჭრილობები ტერფის არეში, მარცხენა ტერფის მესამე, მეოთხე, მეხუთე თითების საფრჩხილე ფალანგების მოკვეთა/ამპუტაცია, ნაჭდევები მარჯვენა ბარძაყის და მარცხენა ტერფის არეებში. სისხლჩაქცევები თავის ქალას რბილი საფარის ქვეშ ორივე თხემის არეში. ექსპერტიზის დასკვნით, მდედრობითი სქესის ნაყოფის სიკვდილის მიზეზი ზოგადი მწვავე სისხლნაკლულობა გახდა, რაც მარჯვენა წვივის მოკვეთის შედეგად განვითარდა. მდედრობითი სქესის ნაყოფი იყო დროული 39-40 კვირის ორსულობიდან და წონით მარჯვენა წვივის გარეშე - 2950 გრამს იწონიდა. ნ.გ. თავს დამნაშავედ სცნობდა და დანაშაულს აღიარებდა და მსუბუქი სასჯელის დანიშვნას ითხოვდა. სასამართლომ ნ.გ. დამნაშავედ სცნო საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლის მეორე ნაწილით (უკანონო აბორტი, რამაც გამოიწვია მძიმე შედეგი) და სასჯელის სახით განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლისა და 6 თვის ვადით; ასევე 3 (სამი) წლის ვადით ჩამოართვა თანამდებობის დაკავებისა და საექიმო საქმიანობის უფლება.[98]

[98] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 254-255.

საქართველოს სსკ-ის 133-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული დამთავრებულად ითვლება არა ნაყოფის მოკვდინების მომენტიდან, არამედ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტის მომენტიდან, ანუ დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნის მომენტიდან. კანონმდებელი აცხადებს, დედის ორგანიზმიდან გამოდევნილი უნდა იყოს არა ნაყოფის სხეულის ნაწილები, არამედ ნაყოფი, ე.ი. ფეტუსი მთლიანად. ამ თვალსაზრისს თუ გავიზიარებთ, მოცემულ შემთხვევაში სასამართლოს კვალიფიკაცია სადავოა - სახეზეა დამთავრებული დანაშაული, თუ სახეზეა დანაშაულის მცდელობა. იმისათვის, რომ დანაშაულის დამთავრების მომენტი უფრო ნათელი გახდეს, გასაზიარებელია ლიტარატურაში გამოთქმული შემდეგი მოსაზრება: უმჯობესი იქნებოდა, კანონმდებელს დაედგინა, რომ იგი დამთავრებულად ითვლება არა ნაყოფის დედის სხეულიდან გამოდევნის შემთვევაში, არამედ მისი სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში, თუნდაც მისი სხეულის ნაწილების გამოდევნა ვერ მოხერხდეს.[99]

განაჩენში აღნიშნულ შემთხვევაში ნ.გ.-მ ვერ შეძლო ნაყოფის სრულად გამოდევნა დედის ორგანიზმიდან, შესაბამისად სახეზე ვერ გვექნება დამთავრებული დანაშაული. ამასთან სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ვერ ასაბუთებს 133-ე მუხლის მეორე ნაწილის გამოყენებას. განაჩენში არ ჩანს, თუ რა მძიმე შედეგი გამოიწვია ნ.გ.-ს ქმედებამ. თუმცა, ამავე დროს მძიმე შედეგში შეიძლება მოვიაზროთ ის ფაქტი, რომ ნ.გ.-ს მიერ განხორციელებულმა არასწორმა აბორტმა გაურთულა ჯანმრთელობის მდგომარეობა ნ.ს.-ს და საჭირო გახდა დამატებითი სამედიცინო ჩარევა.

ჩემს მიერ განხილული იქნა 2010 და 2011 წლების სასამართლო გადაწყვეტილებები უკანონო აბორტთან დაკავშირებით. მოცემული გადაწყვეტილებები შეიცავს უამრავ პრობლემას და მოკლებულია ჯეროვან დასაბუთებებს. ამის გამომწვევია ის, რომ სასამართლომდე იშვიათად მიდის მსგავსი საქმეები და სასამართლო პრაქტიკაც არ არის დახვეწილი. უახლოეს სასამართლო პრაქტიკაში არ გვხვდება არცერთი გადაწყვეტილება უკანონო აბორტთან დაკავშირებით. ამის მიზეზია ის, რომ აღნიშნული დანაშაული მაღალი ლატენტურობით ხასიათდება და რომ არა დედის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება მოცემული ორი საქმეც არ მივიდოდა სასამართლომდე. ამიტომ საჭიროა იმ ექიმების მკაცრი კონტროლი, რომლებიც კონსულტაციას უწევენ დედებს და აბორტს აკეთებენ, რომ არ მოხდეს დანაშაულის დაფარვა.

[99] თ. სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ. გვ. 256.

3.6. აბორტთან დაკავშირებული სტატისტიკა

თეორიულ მსჯელობასთან ერთად ყოველთვის საინტერესოა და მნიშვნელოვანი სტატისტიკური მონაცემების გაანალიზება. სტატისტიკური მონაცამები გვიჩვენებს ქვეყნის მდგომარეობას ციფრების საშუალებით, რაც გვაძლევს საშუალებას უკეთ გავაცნობიეროთ პრობლემები და შევძლოთ მათი გადაჭრა.

თავდაპირველად შევეხოთ მსოფლიო სტატისტიკას აბორტებთან დაკავშირებით. მსოფლიოში 2010-2014 წლებში, წლიურად საშუალოდ 55.9 მილიონი აბორტი კეთდებოდა, აქედან განვითარებად ქვეყნებში 49.3 მილიონი აბორტი, ხოლო განვითარებულ ქვეყნებში 6.6 მილიონი აბორტი დაფიქსირდა. მსოფლიოში, ყოველი 1000 ქალიდან 36 იკეთებს აბორტს, განვითარებულ ქვეყნებში ეს რიცხვი 1000 ქალზე 27 შეადგენს. ამასთან აბორტების რიცხვი განვითარებულ ქვეყნებში მნიშვნელოვნად შემცირდა 1990-1994 წლებში, მაგრამ განვითარებად ქვეყნებში მნიშვნელოვანი ძვრები არ ყოფილა.[100] როგორც ვხედავთ, მსოფლიოში აბორტების რიცხვი ძალიან მაღალია. აბორტების დიდი ნაწილი კი განვითარებად ქვეყნებზე მოდის. ჩემი აზრით, ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ განვითარებად ქვეყნებში ნაკლებაა განვითარებული ჩასახვის საწინააღმდეგო კონტრაცეპტივების გამოყენება, ასევე საზოგადოება ნაკლებაა ინფორმირებული აბორტის მავნე შედეგების შესახებ. ქვეყნის მთავრობები კი ნაკლებ ყურადღებას უთმობენ აღნიშნულ პრობლემას.

მსოფლიოში წუთში დაახლოებით 79 აბორტი კეთდება. 2019 წელს, პირველი ხუთი თვის განმავლობაში, მსოფლიოში დაახლოებით 16 მილიონ 962 ათასი აბორტი არის დაფიქსირებული,[101] მსოფლიოში კი ამავე პერიოდში დაახლოებით 55 მილიონი ადამიანი დაიბადა.[102] გამოდის რომ დაახლოებით მეოთხედი ბავშვებისა ვერ მოევლინა ამ ქვეყანას აბორტების გამო. ეს კი ძალიან დიდი რიცხვია. ამასთან დავამატებ, რომ მსოფლიოში 1980 წლიდან დღემდე დაახლოებით მილიარდნახევარი აბორტი არის ჩატარებული.[103]

მსოფლიოზე საუბარი ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, საქართველოსაც არ აქვს სახარბიელო მდგომარეობა ამ თვალსაზრისით. თავდაპირველად შევხედოთ საქართველოში არსებული აბორტების სტატისტიკას ხოლო შემდეგ გავაანალიზოთ ეს მონაცემები სხვადასხვა მაჩვენებლებთან მიმართებით.

---

[100] Abortion Worldwide 2017: Uneven Progress and Unequal Access/ წყარო: https://www.guttmacher.org/report/abortion-worldwide-2017, 2019წ.

[101] http://www.numberofabortions.com/, 2019წ.

[102] https://www.worldometers.info/world-population/, 2019წ.

[103] http://www.numberofabortions.com/, 2019წ.

საქართველოში რეგისტრირებული აბორტების სტატისტიკა[104]

წლების მიხედვით	2008	2009	2010	2011	2012
რეგისტრირებულიაბორტები, სულ, ათასი	22.1	24.3	25.6	30.6	39.2
მათ შორის მინი-აბორტი, ათასი	7.7	8.4	10.6	12.9	15.9

აბორტების რიცხვი ქალების ასაკის მიხედვით, ერთეული	2008	2009	2010	2011	2012
15 წლამდე	6	21	14	15	19
15-19	1359	1689	1770	1681	1833
20-44	20481	22419	23664	28760	34881
45 და მეტი წლის	216	182	137	134	270

წლების მიხედვით	2013	2014	2015	2016	2017
რეგისტრირებულიაბორტები, სულ, ათასი	37.0	33.5	32.4	28.7	24.9
მათ შორის მინი-აბორტი, ათასი	15.3	13.1	9.2	8.9	6.7
15 წლამდე	34	20	9	19	1
15-19	1833	1387	1321	919	596
20-44	34881	31850	30938	27659	24145
45 და მეტი წლის	270	212	160	123	195

2018 წელს კი საქართველოში 22 200 აბორტი დაფიქსირდა.[105]

[104] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva.

[105] წყარო: მონაცემთა ეროვნული ცენტრი, https://www.facebook.com/researchcenterGEO/photos/a.1427304050678801/2163323780410154/?type=3&theater

როგორც ვხედავთ, საქართველოში, აბორტების რაოდენობამ მაქსიმუმს 2012 წელს მიაღწია და 39 200 დაფიქსირდა მას შემდეგ კი თანდათან იკლებს. მიუხედავად იმისა, რომ აბორტების რაოდენობამ საქართველოში 22 200 მდე იკლო, უნდა ვთქვათ, რომ ეს რიცხვი ჩვენი ქვეყნისთვის საგანგაშოა, მაშინ როცა საქართველოში 2017 წელს 53 293 ბავშვი დაიბადა, 2018 წელს კი 51 138 ბავშვი.[106] გამოდის, რომ საქართველოში ბავშვების დაახლოებით მესამედი ვერ იბადება აბორტების გამო. თუ შევხედავთ საქართველოს მოსახლეობის მატების დინამიკას[107] ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავედ გამოჩნდება:

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ბუნებრივი მატება, კაცი	622	1093	11548	10128	5798	5471	4614

თუ ამ მონაცემებს დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ საქართველოში აბორტის კანონმდებლობა ქართველი ხალხის გაქრობას უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მოსახლეობა იმატებს მცირედით, მოსახლეობის რიცხოვნობა 2002 წლიდან (4 371.5 ათასი)[108] 2019 წლამდე (3 723.5 ათასი)[109] 648 000 ადამიანით შემცირდა. 2002 წლიდან 2018 წლის ჩათვლით კი დაახლოებით 426 900 აბორტი დაფიქსირდა. შესაძლოა, აბორტებთან დაკავშირებული კანონმდებლობის მიღებისას, მოსახლეობის დემოგრაფიული მონაცემების გაანალიზება ,,ნაკლებ საჭირო" იყოს, მაგრამ თუ დღევანდელ მდგომარეობას გავითვალისწინებთ, ამის თქმა გაგვიჭირდება. მსოფლიოში უამრავი ქვეყანა ატარებს განსხვავებულ დემოგრაფიულ პოლიტიკას, რომელიც მოსახლეობის შემცირებას ან გაზრდას ემსახურება, ჩვენისთანა პატარა ქვეყანას კი ყველაზე ნაკლებად სჭირდება ისეთი ლიბერალური კანონმდებლობა აბორტთან დაკავშირებით, როგორიც დღეს გვაქვს. მართალია, ქალთა უფლებებს დაცვა სჭირდება, მაგრამ საქმე მხოლოდ ქალთა უფლებებს არ ეხება. გასათვალისწინებელია ასევე ჯერ არ დაბადებული ცოცხალი ადამიანის

[106] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/single-news/1560/dziritadi-demografiuli-machveneblebi-dabadeba-gardatsvaleba-kortsineba-gankortsineba-2018-tseli.

[107] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba.

[108] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf

[109] წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia

უფლებები, რომელსაც სახელმწიფო სათანადოდ არ იცავს, შედეგად კი ქვეყანას მძიმე მდგომარეობაში აგდებს.

ქართულ რეალობაში, პრობლემას წარმოადგენს აგრეთვე სელექციური აბორტები, რასაც ქართული კანონმდებლობაც უწყობს ხელს. როგროც ვთქვით საქართველოში 12 კვირამდე ორსულობისას აბორტის გაკეთება დედის სურვილით არის შესაძლებელი. საკითხავია, არის კი ხშირ შემთხვევაში ეს დედის სურვილი? სამეცნიერო პორტალი „დოქტრინას“ კვლევების მიხედვით, ბოლო 25 წელში 31 446 გოგონას სიცოცხლე შეეწირა სელექციურ აბორტს. დაბადებამდე სქესის განსაზღვრა და სქესის მიხედვით ოჯახის დაგეგმვა კულტურული ფენომენია და მიანიშნებს, რომ ქვეყანაში გენდერული დისბალანსია. „ექიმები ხშირად ამბობენ, რომ პაციენტები სქესის გაგების შემდეგ, ბავშვის გაჩენაზე ყოყმანობენ, მათ კი პაციენტის გადაწყვეტილებაში ჩარევის უფლება არ აქვთ, მხოლოდ რჩევის მიცემა შეუძლიათ.[110]

გაეროს მოსახლეობის ფონდმა და მსოფილიო ბანკმა საქართველოში ჩაატარა გამოკვლევა. მათი ინფორმაციით, საქართველოში სელექციური აბორტის შედეგად 1990-2010 წლებში, დაახლოებით, 25,000 გოგონა „გაქრა.“ მათივე ინფორმაციით, თუკი ეს ტენდენცია გაგრძელდება, რიცხვი 2020 წლისთვის – 40,000-მდე, ხოლო 2050 წლისთვის 80,000-მდე გაიზრდება.[111]

ახლა შემოგთავაზებთ კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის მიერ საქართველოში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებს.[112] კითხვა მდგომარეობდა შემდეგში: თქვენი აზრით, რამდენად გამართლებულია ან არ არის გამართლებული - აბორტის გაკეთება? პასუხი გასაცემი იყო ხუთ ბალიანი შკალის მიხედვით.

	სიხშირის განაწილება (%)
არასდროს არის გამართლებული	67
2	13
3	12
4	3
ყოველთვის გამართლებულია	1
არ ვიცი, უარი პასუხზე	4

[110]https://media.ibsu.edu.ge/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2/, 11.02.2019წ.

[111]იქვე.

[112] კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2019, კავკასიის ბარომეტრი, აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე http://caucasusbarometer.org, 2017წ.

როგორც გამოკვლევის შედეგებიდან ვხედავთ, გამოკითხულთა 67% მიიჩნევს, რომ აბორტი არასდროს არ არის გამართლებული. თუმცა მიუხედავად ამისა აბორტების რიცხვი საქართველოში ძალიან დიდია, რაც სერიოზულ დაკვირვებას საჭიროებს და მოითხოვს აბორტების კანონმდებლობის მკვეთრ გადახედვას.

IV თავი - საკითხის რელიგიური მხარე

4.1. მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებები აბორტზე

საქართველო მრავალეთნიკური ქვეყანაა. ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე ქართველებთან ერთად ასევე ცხოვრობენ სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, იეზიდები და სხვა. შესაბამისად საქართველოში არის რელიგიური მრავალფეროვნებაც. აქ ცხოვრობენ - მართლმადიდებლები, მუსლიმანები, კათოლიკეები და ა.შ. ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის 83.4%-ს[113] მართლმადიდებლები შეადგენენ, თავდაპირველად განვიხილავ მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებებს აბორტთან დაკავშირებით, ხოლო შემდეგ თავში მიმოვიხილავ სხვადასხვა ეკლესიებისა თუ მიმდინარეობების შეხედულებებს აბორტზე.

მართლმადიდებლობა აბორტთან დაკავშირებით მუდმივად მტკიცე პოზიციას ინარჩუნებდა და ახლაც ინარჩუნებს. საეკლესიო კანონები თუ წმინდა მამები მუდმივად გამოდიოდნენ აბორტის წინააღმდეგ. მართლმდადიდებლობა აბორტს კაცის კვლად მიიჩნევს. აბორტის შესახებ პირდაპირ არის მითითებული ტრულის კრების 91-ე კანონში, რომ „კაცის კვლად შეერაცხოსო".[114] საინტერესოა წმიდა ბასილი დიდის მე-2 კანონი, რომელიც აბორტის უმძიმეს ცოდვას ეხება: „მუცელსა შინა კლვისა ჩჩვილთაისა მოპოვნებასა კაცისკლვისა თანა-აც პატიჟი... ვინაითგან ხრწნილებაცა და განრყუნა ახლადმუცლადმიღებულისა კაცის კლვა არს... რომელთა არა ვიდრე სიკუდილამდე ჯერ-არს განვრცობა სინანულისა , არამედ შეწყნარება მათი შემდგომად რიცხვსა ათთა წელიწადთაისა." როგორც ვხედავთ ბასილი დიდი ათწლიან უზიარებლობას ადგენს ჩვილის მოწყვეტისთვის.[115]

---

[113] https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D#%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90, 2019წ.

[114] დ. ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართალის საკითხები, 2003, http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-1-2.htm#%C2%A72, 2019წ.

[115] იქვე.

მართლმადიდებლური სწავლებით ადამიანი ჩასახვისთანავე ცოცხალი არსებაა და ეძლევა სული. ამის მაგალითად შეგვიძლია დავასახელოთ ის, რომ ბიბლიაში მოხსენებულ მამამთავრებს, წინასწარმეტყველებს და სხვა წმინდანებს სახელი ჩასახვისთანავე ეძლეოდათ, როგორც ცოცხალ არსებებს. ეკლესია ცალკე აღნიშნავს წმ. იოანე ნათლისმცემლის მუცლადღების დღეს (6 ოქტ. ახ. სტილით). წმ. დავით მეფსალმუნე ბრძანებს: „შემიწყნარე მე დედის მუცლით ჩემითგან“. ყოველივე ეს მიუთითებს იმას, რომ ეკლესია ჩასახულ ბავშვს აღიქვამს ჩვეულებრივ ადამიანად, რომელსაც აქვს სული, ბოძებული ღმრთისაგან და არის ცოცხალი არსება. მცირე კურთხევანში არსებობს საგანგებო ლოცვა იმ შემთხვევაში, როცა ორსულობა ნაადრევად შეწყდება (ცხადია, ბუნებრივად). ამ ლოცვის საკითხავები სინანულის შემცველია. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან შვილიერება ღმრთის წყალობად ითვლებოდა და ითვლება როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმის ეკლესიაში. ამიტომაც ღმრთის წყალობის განშორება, ცხადია, სამწუხარო იყო ყოველი მორწმუნისათვის. წმიდა პავლე მოციქული პირდაპირ მიუთითებს ტიმოთეს მიმართ პირველ ეპისტოლეში (2;14), რომ დედაკაცნი ცხონდებიან „შვილთსხმისაგან, უკუეთუ ეგნენ სარწმუნოებით და სიყუარულით და სიწმიდით ღირსებასა ზედა.[116]

საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია მუდმივად გამოდის აბორტის წინააღმდეგ. წმიდა სინოდის სხდომის ოქმში(21.06.2018) ნათქვამია, რომ უნდა გაძლიერდეს აბორტის, შვილთა კვლის, როგორც უმძიმესი ცოდვის საწინააღმდეგო პროპაგანდა, მათ შორის შერჩევითი აბორტისა.[117] ასევე პატრიარქიც მუდმივად მოუწოდებს თავის მრევლს, რომ უარი თქვან აბორტზე, უარი თქვან კაცის კვლაზე. პატრიარქის 2015 წლის საშობაო ეპისტოლეში ნათქვამია: ,,არ იგმონა უმძიმესი ცოდვები, არ იგმობა აბორტიც, რომელიც ძალადობის ყველაზე საშინელი და საზარელი სახეა. დედა, რომელმაც შვილის მკვლელობის ეს დანაშაული ჩაიდინა და ექიმებიც, არ შეიძლება არ გრძნობდნენ სინდისის ქენჯნას; არ შეიძლება არ გრძნობდნენ დაღვრილი უმანკო სისხლის ძახილს. ამ დანაშაულის გამოსყიდვა მხოლოდ გულმხურვალე სინანულითა და ქველი საქმეებით შეიძლება და კიდევ იმით, რომ ეს ადამიანები გახდნენ ერთგვარი მქადაგებელნი და დაარწმუნონ თავისი ახლობლები და ნაცნობები, რომ მათ, მაინც, მსგავსი რამ არ ჩაიდინონ და ამით სხვა ჩვილების სიცოცხლე გადაარჩინონ''.[118] აბორტის დამღუპველობაზე ამახვილებს პატრიარქი თავის ყურადღებას 2018 წლის საადგომო ეპისტოლესა და 2019 წლის საშობაო ეპისტოლეშიც. პატრიარქის

[116] აბორტის კრიმინალიზაციის შესახებ, გაზეთი „მადლში“ 2004 წლის თებ.-მარტ. http://www.orthodoxy.ge/samartali/aborti.htm

[117] https://patriarchate.ge/geo/saqartvelos-samociqulo-avtokefaluri-martlmadidebeli-eklesiis/, 21.06.2018წ.

[118] https://patriarchate.ge/geo/2015-2/, 2019წ.

თანამოსაყდრესაც მტკიცე პოზიცია უჭირავს აბორტებთან დაკავშირებით: ,,ჩვენ ხშირად გვესმის საუბარი აგრესიაზე, ძალადობაზე, ამას ვებრძვით, მაგრამ არც ერთი ე.წ. მებრძოლი ამის წინააღმდეგ არ ამბობს, რომ აბორტი ცუდია. აბორტი არის ნატურალური ფაშიზმი. რომელ ჩხუბზე და დაჭრაზე ვსაუბრობთ, როცა წელიწადში 40 ათასი აბორტი კეთდება და ეს არაოფიციალურად? თუ მივამატებთ ამას ქიმიურ აბორტებს, ეს ადის ასობით ათასზე. სულიერად რომ შევხედოთ, ღმერთი არასდროს მისცემს იმ ერს ბედნიერებას და გამარჯვებას, რომელიც არის საკუთარი შვილების მკვლელი. სანამ ეს არ გამოსწორდება, ჩემი აზრით, რამდენიც არ უნდა ვილაპარაკოთ, არაფერი გამოსწორდება იმიტომ, რომ ჩვენ ჩვენს ბავშვებს ვკლავთ ათობით და ასობით ათასს და ამას არ ვუწოდებთ აგრესიას, ვიცავთ ქალის უფლებას, ბავშვის უფლებას, მაგრამ არ ვიცავთ ბავშვის უფლებას რომ დაიბადოს, ამაზე ხმას არავინ იღებს''.[119]

მართლმადიდებლურ ეკლესიას ასევე უარყოფითი პოზიცია უკავია ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებთან მიმართებითაც. ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებისადმი დამოკიდებულება მკაცრი და ერთმნიშვნელოვანია: ჩასახვის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიება სიცოცხლის, სიყვარულის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებაა.[120] ამბობს არქიმანდრიტი ადამი (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი), ჩასახვის საწინააღმდეგოდ კი თავშეკავებას გვირჩევს. დეკანოზი კონსტანტინე ჯინჭარაძე გვეუბნება: თითქოს ჩასახვის საწინააღმდეგო მრავალი საშუალება აქვეითებს „ოვულაციას" ქალებში, თითქოსდა ჩასახვა არ ხორციელდება. სინამდვილეში ჩასახვის საწინააღმდეგო აბი აბორტულ მოქმედებას იწვევს. ის ანადგურებს საშვილოსნოს ლორწოვან გარსს. ამ საშუალებათა უმრავლესობას საერთოდ არა აქვს უშუალო კავშირი ჩასახვასთან (ჩასახვისაგან თავდაცვასთან) და პირდაპირ ცოცხალი ემბრიონის მკვლელობაზეა გათვლილი. უმეტეს შემთხვევაში ისინი წამლავენ ემბრიონს.[121]

როგორც ვხედავთ, მართლმადიდებლურ ეკლესიას მტკიცე პოზიცია უჭირავს როგორც აბორტებთან დაკავშირებით, ისე ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებთან დაკავშირებით. აბორტი კაცის კვლად არის აღიარებული. აბორტის გამკეთებელი კაცის მკვლელად იწოდება და იგივე საეკლესიო სასჯელით ისჯება რითაც კაცის მკვლელი. ეკლესია მოწოდებულია დაიცვას ადამიანი ცოდვისგან და იმ შედეგებისგან, რასაც ცოდვა მოუტანს ადამიანს.

---

[119] https://imedinews.ge/ge/saqartvelo/52086/meupe-shio-aborti-aris-naturaluri-pashizmi, 09.03.2018წ.

[120] http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/interviu-modzghvarthan/1595-sicockhlis-dabadeba.html, 29.12.2006წ.

[121] შეთქმულება ოჯახის წინააღმდეგ - კონტრაცეფციის გამოყენების შედეგები (ნაწილი 2), 10.04.2019, http://xareba.net/4568-shethqmuleba-ojakhis-tsinaaghmdeg-kontracefciis-gamoyenebis-shedegebi-natsili-2.html.

მიტროპოლიტი ნიკოპოლისა და პრევეზისა მელეტი ამბობს: თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია საკუთარი მოქმედების შედეგებზე. შეგახსენებთ დოსტოევსკის ფრაზას: "ვინც ჯვარს აცვამს ერთ ადამიანს დედამიწაზე, ეს ნიშნავს, რომ ის მთელ კაცობრიობას აცვამს ჯვარს". აქედან ვასკვნით: საზოგადოებას არათუ უფლება აქვს, არამედ მოვალეცაა, ჩაერიოს და დაეხმაროს ადამიანს, დაიცვას იგი.[122]

4.2 სხვადასხვა რელიგიათა შეხედულებები აბორტზე

მართლმადიდებლური ეკლესიის შეხედულებებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია სხვადასხვა რელიგიებისა თუ მიმდინარეობების შეხედულებების გაცნობა აბორტთან მიმართებაში. ეს დაგვეხმარება დავინახოთ მთლიანი სურათი მსოფლიოს მასშტაბით თუ როგორ უყურებს მსოფლიო აბორტს.

მხოლოდ ქრისტიანული რელიგია, უფრო სწორად, მართლმადიდებლობა გვიხსნის ჩვილთა მკვლელობის ცოდვის მეტაფიზიკურ ტრაგედიას და ნათელყოფს იმ დანაშაულის მთელ სიღრმეს, რომელიც მშობლებს მათ მიერ მოკლულ შვილთა წინაშე მიუძღვით. ფორმალურად ყველა რელიგია (სატანისტური სექტების გარდა) კრძალავს შვილთა მკვლელობას.[123]

ბუდიზმი და ინდუიზმი სხვადასხვა ფორმითა და ვარიანტით გმობენ არა მხოლოდ ადამიანის, არამედ ნებისმიერი ცოცხალი არსების მკვლელობას. მაგრამ გარდასახვის თეორიის - მეტამფსიქოზის თანახმად, მოკლულის სული ახალ სხეულში სახლდება და, ვინაიდან მას ტანჯვა მიაყენეს, მისი შემდეგი გარდასახვა საფეხურით ზეაღსვლა იქნება მისი სულიერი ევოლუციის კიბეზე. კარმა უფრო განიწმინდება, შესაბამისად, სული, რომელმაც ობიექტურად თავისი ცოდვების საზღაური უკვე წინა ცხოვრებაში მიიღო, მოგებული რჩება, როგორც უკვე განსაწმენდელ ცეცხლში გამოვლილი. ამასთან, იმ მიმდინარეობების, სკოლებისა და ოკულტური სექტების უმრავლესობა, რომლებიც მეტამფსიქოზის თეორიას იზიარებენ, ასწავლიან, რომ ნაყოფი მხოლოდ განვითარების გარკვეული ფაზების გავლის შემდეგ იძენს ეთერულ სხეულებს და ხდება ადამიანი. შესაბამისად, ემბრიონის მოკვდინება მისი არსებობის პირველ კვირაში ადამიანის მკვლელობად არ ითვლება. ამგვარი იყო

---

[122] http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/religia-da-medicina/1605-qchumi-yviriliq.html, 29.12.2006.

[123] მხოლოდ მართლმადიდებლობა ხსნის ტრაგედიის ნამდვილ არსს - არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), სულის უდაბნო, წყარო: http://xareba.net/print:page,1,3873-mkholod-marthlmadidebloba-khsnis-tragediis-namdvil-arss-arqimandriti-rafaeli-karelini.html , 3.07.2017.

შტაინერის შეხედულება, ამავე აზრს იზიარებენ ილუმინატები, როზენკრეიცერები და სხვა ოკულტური ორგანიზაციები და სექტები.[124]

იუდაიზმის მიხედვით, ჩვილი, ისევე, როგორც ყველა ებრაელი, ეკუთვნის ისრაელს და ამიტომ ბავშვის მოკვლა ისრაელის საკუთრების ხელყოფად ითვლება, მაგრამ აბრაამისა და მოსეს ლოცვით ბოლოს მთელი ისრაელი გადარჩება.[125]

ისლამი სასტიკად კრძალავს ჩვილთა მკვლელობას; ეს მეომრებს ართმევს მას. მრავალცოლიანობაც კი განიხილება, როგორც შთამომავლობის გამრავლების საშუალება. მაგრამ ისლამი ასწავლის, რომ მუჰამედისაა და მის მემკვიდრეთა - იმამთა ლოცვით განურჩევლად ყველა მაჰმადიანი გადარჩება, თუმცაღა უშვებს, რომ ცოდვილი მაჰმადიანები დროებით სასჯელს მიიღებენ იმქვეყნად. ამრიგად, მაჰმადიანობის, აგრეთვე იუდაიზმის სწავლებით, მოკლული და მუცლად მოწყვეტილი ჩვილები გადარჩებიან. (თალმუდი შეიცავს ზოგიერთი რაბინის კერძო შეხედულებებს იმის შესახებ, რომ აბორტი დასაშვებია ორსულობის ადრეულ სტადიებში: მაშინ, როდესაც ნაყოფს ადამიანის სახე ჯერ მიღებული არა აქვს).[126]

ბაპტისტები და პროტესტანტ-რაციონალისტური სექტების უმრავლესობა, რომლებიც უარყოფენ ყრმათა ნათლობის აუცილებლობას, თვლიან, რომ ჩვილები მათი მშობლების რწმენით გადარჩებიან. ასე რომ, ამ სწავლებათა თანახმად, მკვლელი მშობლები ბავშვის სულის წინაშე კი არ სცოდავენ, არამედ მისი სხეულის მიმართ სჩადიან დანაშაულს.[127]

მხოლოდ მართლმადიდებლობა (და აგრეთვე სხვა ქრისტიანული კონფესიები, რომლებშიც თუნდაც დეფორმირებული სახით, მაგრამ მაინც შენარჩუნებულია სამოციქულო მემკვიდრეობა ანუ ლიტურგიკული გარდამოცემა) გვასწავლის, რომ პირველქმნილი ცოდვისგან ნათლისღებით განუბანელი ჩვილები ვერ იმკვიდრებენ ცათა სასუფეველს და ეკლესიისთვის უცხონი რჩებიან.[128]

საინტერესოა რომაულ-კათოლიკური სწავლება. თუმცა ის მართლმადიდებლობასთან შედარებით ამცირებს პირველქმნილი ცოდვის მნიშვნელობას და მასში ძირითადად მადლის დაკარგვას ხედავს, მაგრამ ამ

---

[124] მხოლოდ მართლმადიდებლობა ხსნის ტრაგედიის ნამდვილ არსს - არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), სულის უდაბნო, წყარო: http://xareba.net/print:page,1,3873-mkholod-marthlmadidebloba-khsnis-tragediis-namdvil-arss-arqimandriti-rafaeli-karelini.html , 3.07.2017.
[125] იქვე.
[126] იქვე.
[127] იქვე.
[128] იქვე.

სწავლების მიხედვით, ნათლისღებით მიღებული მადლის გარეშე შეუძლებელია ცათა სასუფეველში - მადლის სამეფოში შესვლა.[129]

კათოლიციზმში სოტერიოლოგია მართლმადიდებლობასთან შედარებით გამარტივებულია და დაკნინებული. მაგრამ კათოლიციზმმა, მიუხედავად იმისა, რომ ის მრავალ დოგმატსა და კანონს ამახინჯებს და მუდამ თანამედროვე ჰუმანისტურ მსოფლმხედველობასთან დაახლოებას ცდილობს, ვერ გაბედა, განეცხადებინა, რომ ჩვილთა ცხონება და მათი ზეციურ ეკლესიაში შესვლა შესაძლებელია ნათლისღებისა და მიწიერი ეკლესიის წევრობის გარეშე, ჩვენთვის უცნობი გზით. ამიტომ ის კონფესიები, რომელთაც შენარჩუნებული აქვთ იერარქიული მემკვიდრეობა: კათოლიციზმი, მონოფიზიტობა და ნესტორიანელობა, მართლმადიდებელი ეკლესიის შესაბამისად, ასწავლიან, რომ მოუნათლავი ჩვილები ვერ ცხონდებიან. მუცლად მოწყვეტილებს არც ერთი მათგანი არ იხსენიებს წირვაში, რადგან ისინი არ მიეკუთვნებიან ეკლესიას. თუ კათოლიციზმი თვლის, რომ პირველქნილმა ცოდვამ ადამი და მისი შთამომავლობა მხოლოდ ზებუნებრივი მადლისაგან განაშორა, მართლმადიდებელი ეკლესია ასწავლის, რომ პირველქმნილმა ცოდვამ ადამიანის ბუნება განრყვნა; და მხოლოდ ნათლისღების გზით, გოლგოთის მსხვერპლთან თანაზიარებით არის შესაძლებელი ადამიანის სულის ღმერთთან კავშირის განახლება. ამიტომ აბორტი არა მხოლოდ ჩვილის სხეულის მკვლელობაა, არამედ მისი სულისთვის საუკუნო ცხოვრებისა და ქრისტეს დიდების თანაზიარების მოკლებაა.[130]

რაც შეეხება მატერიალისტურ აზროვნებას, მისი მიმიდევრებისათვის სიცოცხლეს მხოლოდ სტრუქტურული დატვირთვა გააჩნია: ელემენტებს ცოცხალი ორგანიზმის მდგრადი ფორმა აქვთ მიღებული, რომელიც მემკვიდრეობით გადადის, ხოლო სიკვდილი ელემენტების საწყის მდგომარეობაში დაბრუნებაა. მატერიალისტისთვის ადამიანის ნაყოფი მხოლოდ „საშენი მასალაა" დაუმთავრებელი მშენებლობის პროცესში, და არა უკვე ცოცხალი პიროვნება. გარდა ამისა, ჰეგელის სპეკულაციური სწავლება დედის საშოში ნაყოფის განვითარების გზების შესახებ, რომელსაც ბიოგენეზი უწოდეს და რომელიც შეესატყვისება დარვინის ევოლუციურ კიბეს ამებიდან ადამიანამდე (წყალმცენარეები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები), გვაფიქრებინებს, რომ ქალი ფეხმძიმობის შესაბამის სტადიაში ჯერ კლავს ამებას, შემდეგ წურბელას, მერე ბაყაყს, და ბოლოს, მაიმუნის მსგავს პრიმატს; ე.ი. ჩვილის მკვლელობისთვის მას ისეთივე ზნეობრივი პასუხისმგებლობა

[129] მხოლოდ მართლმადიდებლობა ხსნის ტრაგედიის ნამდვილ არსს - არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), სულის უდაბნო, წყარო: http://xareba.net/print:page,1,3873-mkholod-marthlmadidebloba-khsnis-tragediis-namdvil-arss-arqimandriti-rafaeli-karelini.html , 3.07.2017.

[130] იქვე.

ეკისრება, როგორც ტანზე მიკრული ბაღლინჯოს მოშორებისთვის, შემდეგ როგორც მეთევზეს - ანკესით თევზის დაჭერისთვის, ან როგორც მონადირეს - იხვის მოკვლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების სახელით შენიღბული ბიოგენეზი დიდი ხანია მხილებულია, როგორც სიყალბე და თაღლითობა, ის დარვინიზმთან ერთად სკოლიდანვე ინერგებოდა თანამედროვეთა ცნობიერებაში.[131]

როგორც ვხედავთ მრავალი ეკლესია და სწავლება ეწინააღმდეგება აბორტს (თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს), მათ მიაჩნიათ, რომ ადამიანი ცოცხალი არსებაა ჩასახვის მომენტიდან და პატივი უნდა ვცეთ მისი სიცოცხლის უფლებას. არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება უმიზეზოდ მოკლას დაუცველი ბავშვი, რომელიც დედის ორგანიზმში იმყოფება. მიუხედავად ეკლესიების მსგავსი შეხედულებისა დღეს მსოფლიოს ქვეყნების კანონმდებლობაში ჯერ არ დაბადებული ბავშვის უფლებები უფრო და უფრო კნინდება დედის უფლებების გაძლიერების ფონზე, რაც მეტად სამწუხაროა. როგორც ჩანს ადამიანი თავისი აზროვნებით ნელ-ნელა კარგავს სულს და ემსგავსება ცხოველს, რომელსაც მხოლოდ პირადი კეთილდღეობა ანაღვლებს (თუმცა ცხოველების უმრავლესობა ბევრად უფრო უფრთხილდება თავის შთამომავლობას, ვიდრე ადამიანი).

დასკვნა

ფეტუსი ჩასახვის მომენტიდან ცოცხალი არსებაა და დედის ორგანიზმის დახმარებით განაგრძობს სიცოცხლეს და ზრდა-განვითარებას, ეს ფაქტი 21-ე საუკუნეში უკვე სადავო აღარაა. პრობლემა იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანები ფეტუსის სიცოცხლეს მაინც არად აგდებენ. ამას მოწმობს აბორტების სიმრავლე როგორც მთელს მსოფლიოში, ისე საქართველოშიც.

ქართული კანონმდებლობა არ იცავს დაუბადებელ ბავშვს. ჯანმრთელობის დაცვის შესახებ კანონში წერია - ,,ქალთა ჯანმრთელობის დაცვა აბორტების შემცირების გზით სახელმწიფოს პრიორიტეტული ამოცანაა.“ ჩანაწერი არაფერს ამბობს ფეტუსის დაცვაზე, რაც პრობლემაა. არ შეიძლება ადამიანებს მიეცეთ უფლება 12 კვირამდე საკუთარი ნების მიხედვით გადაწყვიტონ, ღირს თუ არა ამა თუ იმ ბავშვის გაჩენა. ბავშვი დედის მუცელში ჩასახვის მომენტიდან ცოცხალი არსებაა და მისი სიცოცხლის პატივისცემა

[131] მხოლოდ მართლმადიდებლობა ხსნის ტრაგედიის ნამდვილ არსს - არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), სულის უდაბნო, წყარო: http://xareba.net/print:page,1,3873-mkholod-marthlmadidebloba-khsnis-tragediis-namdvil-arss-arqimandriti-rafaeli-karelini.html , 3.07.2017.

ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა. ჩვენ უკვე მოვევლინეთ დედამიწას. არ გვაქვს უფლება, განვსაზღვროთ, უნდა დაიბადონ თუ არა ადამიანები, ისევე როგორც არ გვაქვს უფლება, სიცოცხლე წავართვათ ადამიანს, რომელიც მისთვის ჩვენ არ მიგვიცია.

ისტორია ყოველი ქვეყნის საძირკველს წარმოადგენს. ისტორია გვაძლევს გამოცდილებას, რომელიც წინაპრების მიერ მრავალი საუკუნის განმავლობაში ჩამოყალიბდა. როგორც ჩანს, ჩვენმა სახელმწიფომ არც ისტორია გაითვალისწინა, როდესაც აბორტთან დაკავშირებულ კანონმდებლობას ქმნიდა. საქართველოში აბორტი დასჯადი იყო. ფეტუსის მოკვდინება კი კაცის კვლას უდრიდა. ისჯებოდა როგორც აბორტის გამკეთებელი, ისევე დედაც. დღესდღეობით დედა პასუხისმგებლობის გარეშე რჩება, აბორტი კი ლეგალიზებულია.

საქართველოში 2002 წლიდან 2018 წლის ჩათვლით დაახლოებით 426 900 აბორტი დაფიქსირდა. ეს ციფრი ძალიან დიდია ისეთი პატარა ქვეყნისათვის როგორიც ჩვენ ვართ. გასათვალისწინებელია ასევე ის ფაქტიც რომ საქართველოში ბუნებრივი მატება ძალიან დაბალია. მოსახლეობა კი გამოუდმებით მცირდება. ამის ფონზე ლიბერალური კანონმდებლობა, რომელიც დაუბადებელ ბავშვებს ანადგურებს ერის წინაშე ჩადენილი დანაშაულია.

შესაძლოა, აბორტების აკრძალვა ქალის უფლებებში უხეშად ჩარევის მცდელობად იქნეს აღქმული, მაგრამ ერთი ადამიანის უფლება იქ იზღუდება, სადაც მეორე ადამიანის უფლება შეიძლება დაირღვეს. აბორტის აკრძალვა დედის სიცოცხლის ხარჯზე მიუღებელია, მაგრამ თუ აბორტი დასაშვები იქნება მხოლოდ იმ პირობების არსებობის შემთხვევაში, ორსულობის მთელი პერიოდის განმავლობაში, როგორი პირობებიც არსებობს ორსულობის მე-12 კვირიდან 22 კვირამდე, ჩემი აზრით, პრობლემას არ შექმნის, ხოლო ჯერ არ დაბადებული სიცოცხლე დაცული იქნება.

დასასრულს, კიდევ ერთხელ მინდა ვთქვა, რომ აბორტის გაკეთება, მაშინ როდესაც დედის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, დანაშაულია. აბორტით დედის ორგანიზმს მნიშნელოვანი ზიანი ადგება, ხოლო ქვეყანა, რომელიც თავის მომავალი თაობის განადგურებას ყურადღებას არ აქცევს, დიდი ხნით ვერ იარსებებს.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა

ნორმატიული მასალა

1. საქართველოს კონსტიტუცია. 2018 წლის 23 მარტის მდგომარეობით.;
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. 2019 წლის 29 მაისის მდგომარეობით.;
3. საქართველოს კანონი ჯანმრთელობის დაცვის შესახებ. 2019 წლის 19 თებერვლის მდგომარეობით.;
4. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 25 ნოემბრის ბრძანება ,,ორსულობის ხელოვნური შეწყვეტის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“.

სამეცნიერო ლიტერატურა

1. თამარ სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2012 წ;
2. თამარ სადრაძე, ევთანაზია და ფეტუსის სისხლის სამართლებრივი დაცვის პრობლემები, რედაქტორი ნონა თოდუა, თბ. 2019 წ.
3. ნონა თოდუა, მზია ლეკვეიშვილი, გოჩა მამულაშვილი; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი : წიგნი I, მე-7 გამოცემა, თბ. მერიდიანი, 2019 წ;
4. ვასილ გონაშვილი, ნ. ხიზანიშვილი. სტატია - ჩანასახის სიცოცხლის უფლება. სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის შრომების კრებული, 24-25 მაისი, ნაწილი 2, ქუთაისი, 2013;
5. თემურ ცქიტიშვილი, სტატია, უკანონო აბორტი - განზრახი მკვლელობა თუ საფრთხის შემქმნელი დელიქტი?, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, წიგნი 1-ლი, თბილისი, 2010წ;
6. დავით შონვაძე, რედ. დეკანოზი არჩილ ხაჩიძე, დეკანოზი იოანე მამნიაშვილი, ეკლესიის საუნჯე (მართლმადიდებელი ქრისტიანული ეკლესიის მოძღვრების საფუძვლები), დაიბეჭდა შ.პ.ს. ,,ფავორიტ პრონტში“ თბილისი. 2013.
7. ირმა გელაშვილი, ჩანასახის სამოქალაქო სამართლებრივი მდგომარეობა, უნივერსიტეტის გამომცემლობა თბილისი, 2012.
8. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული და ეროვნული სისტემები (სტატიათა კრებული) რედ. კონსტანტინე კორკელია, თებერვალი, 2007,

გამომცემელი gtz, ე. გოცირიძე, სიცოცხლის დასაწყისი და დასასრული: ფეტუსისა და ევთანაზიის უფლებრივი საკითხები სტრასბურგის იურისპრუდენციის მიხედვით.

ინტერნეტ მასალა

1. http://www.numberofabortions.com/, 2019წ.
2. წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 1.https://www.geostat.ge/ka, 2.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/54/jandatsva, 3.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/321/bunebrivi-mateba, 4.https://www.geostat.ge/ka/single-news/1560/dziritadi-demografiuli-machveneblebi-dabadeba-gardatsvaleba-kortsineba-gankortsineba-2018-tseli, 5.https://www.geostat.ge/ka/modules/categories/316/mosakhleoba-da-demografia, 6.http://census.ge/files/results/Census%20Release_GEO.pdf.
3. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98, 2019წ.
4. https://1tv.ge/news/irlandiashi-abortis-liberalizaciis-akhali-kanoni-amoqmeddeba/ 27.05.2018წ.
5. Abortion Worldwide 2017: Uneven Progress and Unequal Access/ წყარო: https://www.guttmacher.org/report/abortion-worldwide-2017, 2019წ.
6. https://www.worldometers.info/world-population/, 2019წ.
7. მონაცემთა ეროვნული ცენტრი. https://www.facebook.com/researchcenterGEO/photos/a.1427304050678801/2163323780410154/?type=3&theater.
8. https://media.ibsu.edu.ge/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%90%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%A2/, 11.02.2019წ.
9. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2019, კავკასიის ბარომეტრი, აგებულია მონაცემთა ონლაინ ანალიზის ვებგვერდზე http://caucasusbarometer.org, 2017წ.
10. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%9D#%E1%83%94%E1%83%97%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%93%E1%83%90_%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83

%9B%E1%83%90%E1%83%93%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90, 2019წ.
11. დ. ჩიკვაიძე, საეკლესიო სამართალის საკითხები, 2003, http://www.orthodoxy.ge/samartali/samartali/3-1-2.htm#%C2%A72, 2019წ.
12. აბორტის კრიმინალიზაციის შესახებ, გაზეთი „მადლში“ 2004 წლის თებ-მარტ. http://www.orthodoxy.ge/samartali/aborti.htm
13. https://patriarchate.ge/geo/saqartvelos-samociqulo-avtokefaluri-martlmadidebeli-eklesiis/, 21.06.2018წ
14. https://patriarchate.ge/geo/2015-2/, 2019წ.
15. https://imedinews.ge/ge/saqartvelo/52086/meupe-shio-aborti-aris-naturaluri-pashizmi, 09.03.2018წ.
16. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/interviu-modzghvarthan/1595-sicockhlis-dabadeba.html, 29.12.2006წ.
17. შეთქმულება ოჯახის წინააღმდეგ - კონტრაცეფციის გამოყენების შედეგები (ნაწილი 2), 10.04.2019, http://xareba.net/4568-shethqmuleba-ojakhis-tsinaaghmdeg-kontracefciis-gamoyenebis-shedegebi-natsili-2.html
18. http://karibche.ambebi.ge/qristianuli-ckhovreba/religia-da-medicina/1605-qchumi-yviriliq.html, 29.12.2006.
19. მხოლოდ მართლმადიდებლობა ხსნის ტრაგედიის ნამდვილ არსს - არქიმანდრიტი რაფაელი (კარელინი), სულის უდაბნო, წყარო: http://xareba.net/print:page,1,3873-mkholod-marthlmadidebloba-khsnis-tragediis-namdvil-arss-arqimandriti-rafaeli-karelini.html , 3.07.2017.

აღნიშნული ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ. არ გამომიყენებია ლიტერატურა სათანადო მითითებების გარეშე და ვაცნობიერებ, სიყალბის გამოვლენის შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.

ლაშა ცუცქირიძე ----------